ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 9 ივლისი, 2021 №124 (8653) ფასი: 60 თეთრი

გვ.5

ზურაბ ადეიშვილსა და დავით ჭაკუას 4 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიესაჯათ

„ქურდული სამყაროს“ წევრობისა და „ქურდულ შეკრებაში“ მონაწილეობის ბრალდებით 25 პირი დააკავეს

გვ.5

4 პირს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ბრალი წარედგინა, იძებნება 2 პირი

„ქოცები ვერ არკვევენ, ივანიშვილის ფავორიტი კობახიძეა თუ გახარია“

გვ.2

კახა კუკავა: „ნიკა მელიამ შეცდომა დაუშვა“

„არჩევნებზე მოსახლეობას დიდი იმედგაცრუება ელოდება“

ლევან ალაფიშვილი: „ოპოზიციას არ აწყობს ამ მოცემულობის შეცვლა“

გვ.3

„თუ არ დაგვხვრეტენ, „ოცნება“ არჩევნებზე 43%-ს ვერ აიღებს“

გვ.3

ხათუნა გოგორიშვილი: „ოცნებამ“ რეპეტიცია გაიარა, როგორ მოიქცევიან არჩევნებზე საპატრიარქო და ულტრარადიკალები“

გვ.2

ღარიბაშვილს ხსნიან და მის ადგილზე კუჭავას ნიშნავენ?

გვ.4

„ქვეყანაში ასეთი უთავბოლობა ტრაგედიამდე მიგვიყვანს“

მამუკა გიორგაძე: „დიდი დარტყმა მიადგა ქართულ სახელმწიფოს, ეკლესიასა და საზოგადოებას“

საქართველოსა და არაბთა გაერთიანებული საემიროების შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა

გვ.5

ISSN 1987-9385

2 ცესკოს თავმჯდომარეობისა და წევრობის კანდიდატებთან გასაუბრების პროცესი დასრულდა

4 „ყველამ თავის ბოზ მამიდას მიხედოსო“ გორის მე-5 სკოლის დირექტორი ზურაბ ქარელი მოხსნეს

5 ქმრის მიერ მოკლული მარიკა წივწივაძის დედამ სტრასბურში 35.000 ევრო მოიგო

6 პრემიერმა სუგამ ტოკიოში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა

„ქოცები ვერ არკვევენ, ივანიშვილის ფავორიტი კობახიძეა თუ გახარია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს კახა კუკავა პასუხობს.

კახა კუკავა: „ნიკა მელიამ შეცდომა დაუშვა“

– ბატონო კახა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? პრემიერისა და შს მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხზე საუბრობენ. რას იტყვით თქვენ?

– ბევრი სხვადასხვა ასპექტი და მხარე აქვს ამ საკითხს, თუ კონკრეტულად ხელისუფლების პასუხისმგებლობაზე ვსაუბრობთ, რა თქმა უნდა, ხელისუფლებამ დაიწყო საერთოდ ეს ლგტბ პროპაგანდა, 2013 წლიდან მოყოლებული. მერე 2014-ში გვახსოვს, რომ მიიღეს ანტიდისკრიმინაციული კანონი და ამ კონკრეტულ ვითარებაში გვახსოვს, რომ 2-3 თვე მიდიოდა მზადება ამ პრაიდისათვის და ჩვენ გვახსოვს, რომ ხელისუფლება მუდმივად საუბრობდა იმაზე, რომ ის შექმნიდა ყველანაირ პირობებს მისი გამართვისათვის. ბოლო დღეს კი, რამდენიმე საათით ადრე, გამოაცხადა, რომ ეს არ იყო მიზანშეწონილი. ეს იყო ყველაზე ცუდი მენეჯმენტი, რასაც უნდა გამოეწვია და გამოიწვია კიდეც ძალადობა.

– რატომ დაიხიეს უკან, რა მოხდა?

– მათ დაინახეს საზოგადოების, ხალხის ძალიან მკაფიო განწყობა და წინასაარჩევნოდ მისი იგნორირება ვერ მოახდინეს. ხელისუფლებას ეკისრება პასუხისმგებლობა ორ ძირითად საკითხში. ერთი, რომ წინასწარ მისცა ამ ხალხს პრაიდის ჩატარების გარანტია და მეორე, არანაირად პოლიცია არ იყო მოწოდების სიმაღლეზე. ძალიან ბევრი ფაქტი იყო ძალადობისა, რომელიც უშუალოდ პოლიციის თვალთახედვის არეში ხდებოდა, თუმცა პოლიცია უუნარობის, არაკომპეტენტურობისა თუ წინასწარი განზრახვის გამო ისე იქცეოდა, თითქოს მარსზე ხდებოდა ეს ამბები.

– ჟურნალისტებზე იერიში იყო ძალიან თვალშისაცემი...

– ეს ახსნადია, იერიში რატომ იყო, მაგრამ ის, რომ პოლიცია არ იცავდა და არ აღკვეთდა ამას, ნამდვილად გაუგებარია.

– რით არის ახსნადი, რატომ იყო ამხელა აგრესია მედიაზე?

– რადიკალური ჯგუფები აკეთებდნენ ამას და რადიკალური ჯგუფები იმიტომ არიან რადიკალური ჯგუფები, რომ ყველგან ასეთ ძალადობას მიმართავენ. მაგათ იმედზე ხომ არ უნდა ვიყოთ, რომ ძალადობა არ მოხდება? იმისთვის, რომ ძალადობა აღიკვეთოს, არსებობს პოლიცია.

– არ გამოიყვანეს საკმარისი რაოდენობის პოლიცია?

– პირდაპირ უნდა ვთქვათ, ეს მოძალადეთა ჯგუფები არ იყვნენ ძალიან ძლიერი და ხალხმრავალი და რაღაც სერიოზული ძალა. რამდენიმე ათეული, ჩვეულებრივი ქუჩის ბიჭი იყო. ეს არ იყო ის ძალა, რომ ვთქვათ, პოლიცია მას ვერ გაუმკლავდებოდა. ხდება ხოლმე მასობრივი არეულობები, რომელშიც ათასობით ადამიანია ჩართული და იქ პოლიციას მართლაც უჭირს მართვა, მაგრამ ამ შემთხვევაში მსგავსი სიტუაცია არ გვქონდა და ნამდვილად არ იყო ამის მართვა რთული, რომ მოენდომებინათ.

– ანუ ხელისუფლების მინუსი მეტია?

– რა თქმა უნდა. თავისუფლად შეეძლოთ ამ დაპირისპირების თავიდან აცილება.

– რამდენად დაზარალდა წინასაარჩევნოდ ხელისუფლება?

– ვიღაცისთვის შეიძლება პლუსიც დაიწერა. აქ მინდა ჩემი პოზიციაც მკაფიოდ ჩანდეს. ჰი, ძალადობა ძალიან ცუდია, ვემიჯნები და მოძალადე უნდა დაისაჯოს, ხოლო რაც შეეხება პრაიდს, მე მიმაჩნია, რომ კატეგორიულად დაუშვებელია ცისარტყელას დროშის ფრიალი საქართველოს დედაქალაქში. ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ ის ფორმები, რა ფორმებითაც ეს მოხდა, ეს არის მიუღებელი, მაგრამ ის საკითხი, რომ პრაიდი თბილისში არ უნდა მოეწყოს, ამაზე ჩვენი მოსახლეობის ძალიან დიდ ნაწილს აქვს ძალიან მკაფიო პოზიცია. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ ცუდად მართა პროცესი, ის შედეგი, რომ პრაიდი არ გაიმართა, მე არ გამოვრიცხავ, რომ ელექტორატის რაღაც ნაწილმა მათ მაინც პლუსში ჩაუთვალოს. ჯოველ შემთხვევაში, ოპოზიციის დიდმა ნაწილმა სამუდამოდ მოიჭრა თავი და გამოეთხოვა მაღალ პოლიტიკურ ამბიციას ამ კვირეულის დროს, მე ვფიქრობ, რომ ამ არჩევნების დროს მოხდება მათი საბოლოოდ ჩამოწერა და გაუფასურება.

– პარლამენტში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების მოსმენა მიმდინარეობს. რატომ იბრძვის ასე „ოცნება“ სასამართლოში კლანის გაძლიერებისთვის, ამით ძალაუფლებას იძლიერებს?

– აქ, ერთი მხრივ, ხელისუფლებას სჭირდება თავისი კონტროლის გაძლიერება სასამართლოზე, რადგან კარგად გვესმის, ივანიშვილის რეჟიმი, რომელიც თავისი არსით არის კრიმინალური, როგორც კი დაკარგავს სასამართლოს მხარდაჭერას, პრაქტიკულად ეგ ნიშნავს, რომ ივანიშვილი უნდა წავიდეს ციხეში. ხელისუფლებაში არიან სისხლის სამართლის დამნაშავეები და, როგორც კი მათ არ ეყოლებათ ჯიბის პროკურორები და ჯიბის მოსამართლეები, ისინი უბრალოდ უნდა წავიდნენ 30-წლიან თავისუფლების აღკვეთაზე. ერთი ეს მოტივია და მეორე ის მოტივია, რომ მათ სურთ დაანახონ საზოგადოებას, რომ ამ შარლ მიშელის და თუ ევროპის შუამავლობის შედეგად მათ არანაირი გავლენა პროცესებზე არ დაუკარგავთ. საქმე ისაა, რომ თვითონ მმართველი პარტიის შიგნით არის ძალიან დიდი არეულობა და გაურკვევლობა იმასთან დაკავშირებით, რომ ქოცები ვერ არკვევენ, ბოლობოლო კობახიძეა ივანიშვილის ფავორიტი თუ გახარია. ამიტომ კობახიძისთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია, დაანახოს ამომრჩეველსაც და საზოგადოებასაც, რომ ის მართავს პროცესებს.

– გახარიას უჭერს მხარს ივანიშვილი?

– შეიძლება, სულაც არ უჭერს ივანიშვილი მხარს გახარიას, მაგრამ თვითონ ქოცაქტივი უჭერს მხარს გახარიას და, თუ უყვართ და მოსწონთ გახარია, მაშინ დაიჯერებენ იმას, რომ ის ივანიშვილის პროექტია. თორემ რეალურად, შესაძლოა, არც იყოს ივანიშვილის პროექტი. მე ვფიქრობ, რომ არც არის. თვითონ ქოცებსაც იმდენად ეზიზღებათ კობახიძე, რომ მათ სურთ დაიჯერონ ეს კეთილი ზღაპარი, რომ გახარია ივანიშვილის პროექტია.

– გახარია რამდენად ძლიერია წინასაარჩევნოდ?

– საბოლოო ჯამში, ის უნდა გაიტესტოს არჩევნებზე. აშკარაა, რომ ის იბრძვის მესამე ადგილისათვის ამ არჩევნებზე, თუმცა არც მესამე ადგილია ცუდი.

– მეორე ადგილს ნაცმოძრაობა იკავებს?

– ნაციონალურ მოძრაობას ბოლო პერიოდამდე, რა თქმა უნდა, ჰქონდა გამოკვეთილი მეორე ადგილი. ამ ცისარტყელას დროშების ფრიალი რუსთაველის გამზირზე თავის შედეგს გამოიღებს და ნაცმოძრაობას ამ არჩევნებზე ძალიან სერიოზული ელექტორალური მინუსი ექნება.

– არ იქნება ნიკა მელია ერთიანი ოპოზიციონერი კანდიდატი?

– მე ვფიქრობ, რომ ძალიან სერიოზული შეცდომა დაუშვა ნიკა მელიამ პრაიდის მხარდაჭერით, შეიძლება ითქვას – გამოუსწორებელი. ეი, ამ პრაიდის მხარდაჭერით წითელი ხაზი გაივლო. ნიკას მთელი შარმი იმაში იყო, რომ ის უნდა ყოფილიყო ოპოზიციის ერთიანი კანდიდატი, რომელსაც ყველა დაუჭერდა მხარს. ახლა ის შეიძლება იყოს ნაციონალური მოძრაობის, რესპუბლიკური პარტიისა და გირჩის ერთიანი კანდიდატი.

– რას იტყვით „ოცნების“ კანდიდატზე, რატომ არ სახელდება?

– მე როგორც ვიცი, კალაძის კანდიდატურა გადაწყვეტილია, კალაძე ითხოვდა თავის კვოტას ერთიან პარტიულ სიაში და ეს მას დაუკმაყოფილეს. ამ არჩევნებზე კალაძე რჩება „ქართულ ოცნებაში“, თუმცა, ღრმად ვარ დარწმუნებული, მომავალ წელს მას „ქართული ოცნების“ დატოვება უკვე გადაწყვეტილი აქვს. არც „ოცნებას“ უნდა კალაძე არანაირად, მაგრამ სხვა გამოსავალი არა აქვს. არ აქვს სხვა გზა და ამის გამო უჭერს კალაძეს მხარს. რომ ჰყავდეთ სხვა კანდიდატი, რომელსაც მოგების შანსი ექნება თბილისში, მაშინ კალაძეზე თავს შეიკავებდნენ.

ვახტანგ გომელაური: „ჩემს გადადგომაზე ძალიან ბევრი ოცნებობს“

შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურის განცხადებით, მისი მხრიდან პოსტის დატოვებაზე „ოცნებობენ“. ამის შესახებ ძალოვანი უწყების ხელმძღვანელმა ჟურნალისტებს განუცხადა, რითაც უპასუხა კითხვას, აპირებს თუ არა თანამდებობის დატოვებას 5-6 ივლისს განვითარებული მოვლენების გამო.

– რა თქმა უნდა, ამაზე ოცნებობს ძალიან ბევრი, – აცხადებს გომელაური.

მისი თქმით, თბილისში, 5-6 ივლისს განვითარებულ მოვლენებზე ხელისუფლება პასუხისმგებლობას იღებს.

– პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ყველა ვიღებთ. ჩვენ ვართ მმართველი ხელისუფლება, – განაცხადა გომელაურმა.

ამასთან, როგორც შს მინისტრმა აღნიშნა, ჟურნალისტების მიმართ განხორციელებული ძალადობა მისთვის მიუღებელია.

გარდა ამისა, ვახტანგ გომელაურს ჟურნალისტებმა ჰკითხეს, რატომ არ მივიდა კომიტეტის სხდომაზე, რომელზეც დეპუტატებმა დაიბარეს.

– ამას თავის პროცედურები აქვს. იქ არის თავისი პროცედურები, კანონი, წესი და როცა საჭირო იქნება, მივალ, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

ცნობისთვის, 8 ივლისს შინაგან საქმეთა მინისტრი პრეზიდენტის ადმინისტრაციაში იმყოფებოდა. მანამდე კი სალომე ზურაბიშვილთან იმყოფებოდნენ პატრიარქის მოსაყდრე, მეუფე შიო და საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი ანდრია ჯაღმაიძე.

ღარიბაშვილს ხსნიან და მის ადგილზე კუჭავას ნიშნავენ?

„მთავარის“ ინფორმაციით, „ქართულ ოცნებაში“ პრემიერ ღარიბაშვილის მთავრობის მეთაურის თანამდებობიდან გადაყენებას განიხილავენ.

კულუარული ინფორმაციით, ამ საკითხზე მმართველ პარტიაში მას შემდეგ ალაპარაკდნენ, რაც ღარიბაშვილის განცხადებას 5 ივლისის, დილით, ძალადობრივი მოვლენები მოჰყვა.

არაოფიციალური ინფორმაციით, ღარიბაშვილის შემცვლელად პრემიერის თანამდებობაზე პარლამენტის თავმჯდომარე კახა კუჭავას კანდიდატურა განიხილება, ღარიბაშვილი კი ისევ თავდაცვის მინისტრად მოიაზრება.

ცესკოს თავმჯდომარეობისა და წევრობის კანდიდატებთან გასაუბრების პროცესი დასრულდა

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობისა და წევრობის კანდიდატებთან გასაუბრება დასრულდა.

კომისიის წევრები შერჩეულ კანდიდატებს პრეზიდენტს გადაუგზავნიან, რის შემდეგაც პრეზიდენტი ცესკოს თავმჯდომარეობისა და წევრობის შერჩეულ კანდიდატებს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს.

როგორც „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ნიკა სიმონიშვილი ჟურნალისტებთან აღნიშნავს, შესაძლოა, კომისიამ ცესკოს თავმჯდომარეობისა და წევრობის კანდიდატები ვერ შეარჩიოს.

– შესაძლებელია, ზოგიერთ კანდიდატთან კონსენსუსიც იყოს, შეიძლება, ყველა კანდიდატთან მიმართებითაც იყოს კონსენსუსი, შესაძლებელია, ვერც მივაღწიოთ კონსენსუსს და ხმათა უმრავლესობით გადაწყდეს. თეორიულად და პრაქტიკულადაც არის იმის ალბათობა, რომ კანდიდატები ვერც კი შეირჩნენ, აქედან გამომდინარე, ჩვენ ამის თაობაზე ვიმსჯელებთ, – აღნიშნავს სიმონიშვილი.

ცესკოს თავმჯდომარეობის პოზიციის დასაკავებლად გასაუბრება გაიარეს ვილი პაჭკორიამ, მაია გურამიშვილმა, გიორგი კალანდარიშვილმა, იმედა კლდიაშვილმა, გიორგი სანტურიანმა, ილია ჭანტურაიამ, ლილი ბეგიაშვილმა, ბონდო გასვიანმა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრობის პოზიციის დასაკავებლად კონკურსში ემზარ კაკულია, გია ცაცაშვილი, კონსტანტინე ჭითანავა, თამაზ თაყაძე, ანა მიქელაძე, მარი კაპანაძე და არჩილ მდივნიშვილი მონაწილეობდნენ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„თუ არ დაგვხვრეტენ, „ოცნება“ არჩევნებზე 43%-ს ვერ აიღებს“

ხათუნა გოგორიშვილი: „ოცნებამ“ რეპეტიცია გაიარა, როგორ მოიქცევიან არჩევნებზე საპატრიარქო და ულტრარადიკალები“

იაგო ნაცვლიშვილი

რა გზავნილი გაუგზავნა მედიასა და საზოგადოებას ხელისუფლებამ 5-6 ივლისის მოვლენებით, სადაც რადიკალმა ჯგუფებმა ცემეს ჟურნალისტები და ჩამოხიეს ევროკავშირის დროშა, ხოლო პოლიცია ფაქტობრივად უმოქმედო იყო? ამ თემასთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი ხათუნა გოგორიშვილი საუბრობს.

ხათუნა გოგორიშვილი: პირველ რიგში, საუბარი მინდა დავიწყო ჩემი სრული სოლიდარობით ჟურნალისტების მიმართ. ყველასი ცალ-ცალკე და ერთად. თორემ ის, რაც ამ დღეებში ხდებოდა, იყო ჟურნალისტებზე გამოცხადებული ნადირობის ქრონიკა, რომელიც იყო სრულიად შეგნებული და არა შემთხვევითი და მიზანმიმართული იმისათვის, რომ თქვენ გამოგეგზავნოთ მესიჯი – ძალიან ბევრიც არ მოინდომოთ და დიდი იმედები არ გქონდეთ მომავალ არჩევნებზე ოქტომბერში.

– სოციალურ ქსელებს თუ გადავხედავთ, არნახული აგრესია და ზიზღია მედიის მიმართ. არ ვიცი, ისედაც იყო ხალხში ეს ზიზღი თუ ასე ამუშავდა პროპაგანდა.

– როგორც სხვა თემებზე ამუშავებდნენ ტროლებსა და ბოტებს, ასეა ახლაც. ყველას გთხოვთ, რომ არ მიაქციოთ ყურადღება. თქვენ რომ არ იყოთ, ეს ხალხი საერთოდ ვერ გაიგებდა, რა ქვეყანაში ვცხოვრობთ. ერთადერთი, თქვენ დარჩით, ვინც სიმართლეს ლაპარაკობს – ტელევიზიები, პრესა, ინტერნეტგამოცემები. თქვენ ხართ ის ნათელი წერტილი სიმართლის ხალხამდე მიტანის თვალსაზრისით.

– გამოვიდა გუშინ შს მინისტრი და თქვა, რომ ყველაფერი გააკეთეს, რაც შეეძლოთ და პოლიციელთა ის რაოდენობა იყო გამოსული, რაც ჰყავდათ. რამდენად სარწმუნოა ეს იმ ფონზე, როდესაც პირველ დღეს განსაკუთრებით სრულიად უმოქმედოს ვხედავდით პოლიციას, როცა მედიის წარმომადგენლებს თავს ესხმოდნენ?

– ძალიან შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, როგორ იქცევა პოლიცია, როდესაც სურვილი აქვს, რომ დაშალოს რაიმე თავშეყრა. გახსოვთ, არჩევნების შემდეგ დეკემბერსა და ნოემბერში პარლამენტთან როგორ მოვიდნენ როკოპოპებითა და წყლის ჭავლით, დაშლაც არ ერქვა იმას, აქეთ-იქით ვცვიოდით – ყველა ერთად და ცალ-ცალკე. თანაც ეს ხდებოდა ყინვასა და უბედურებაში. მაშინ გახსოვთ განცხადებები, რომ თურმე არც პანდემია ყოფილა საშიში. ცესკოსთანაც ხომ გახსოვთ წყლის ჭავლი?! – რა დაუდგა იმას, რომ ეს ე.წ. გულანთებული პატრიოტები დაეშალათ წყლის ჭავლით სიცხეში და არ მიეშვათ ისინი ნადირობაზე, თუ ეს შეგნებულად არ იყო და მიზანმიმართულად.

ეს იყო სამარცხვინო. მე მგონი, ასეთი გამწარებული და გაბრაზებული ცხოვრებაში არ ვყოფილვარ. რას ჰგავდა ეს, როდესაც აიყვანეს და ჟურნალისტები განარიდეს რუსთაველიდან. გაათავისუფლეს რუსთაველის გამზირი და მოაწყვეს საზეიმო მსვლელობა ამ ბანდერლოგების. ერთი „ოსანა“ არ უმღერიათ პოლიციელებს, თორემ ის სცენა იქნებოდა, როგორ მოაბიჯებენ ბედნიერები და კმაყოფილები. თუ რამე ემოცია საერთოდ შეიძლება, რომ მათ სახეებზე აისახოს. აღარაფერს ვამბობ დროშის ამბავზე. ვბრაზდები ხოლმე, როდესაც იძახიან – ჩამოხსნეს დროშა. კი არ ჩამოხსნეს, ჩამოგლიჯეს.

– რა გზავნილი იყო ეს – ერთი მხრივ, ჟურნალისტების ცემა, მეორე მხრივ, ევროკავშირის დროში ჩამოგლეჯა და მესამე მხრივ, ხელისუფლების „გაპრავებები“? მოვისმინეთ ჩვენ კობახიძისა და ღარიბაშვილის განცხადებები.

– ხელისუფლებამ გამოცადა, როგორ მოიქცევიან ულტრარადიკალური ჯგუფები არჩევნებზე და როგორ მოიქცევა საპატრიარქო. მოსინჯეს ნიადაგი, რისი იმედი შეიძლება გვქონდესო. ყველამ კარგად ვიცით, რომ ხელისუფლება და საპატრიარქო მოქმედებენ პრინციპით – ხელი ხელს ბანს. რეპეტიცია გაიარეს და მეტი არაფერი. ეს არის და ეს. ალბათ კმაყოფილები არიან ერთიც და მეორეც.

– ხელისუფლებამ ამით რამდენიმე კურდღელი ხომ არ დაიჭირა?

– ხელისუფლება ვერაფერს დაიჭერს, გარდა იმისა, რომ ამ ქვეყანას თავს სჭრის და გარდა იმისა, რომ ჰგონია, რომ ჩემნაირებს და თქვენნაირებს ხელს ჩაგვაქნევინებს, მაგრამ, როდესაც ბრაზდება ადამიანი, პირიქით, უფრო აქტიური ხდება. ამდენი ტვინიც კი არ ჰყოფნით. ამათ ჰგონიათ, რომ ასეთი ქმედებების მერე ვიტყვით, რომ არაფერს აზრი არ აქვს. პირიქით, ყველამ ვიცით, რომ ასეთი ადამიანები, ვინც ვნახეთ მოძალადეთა ბანაკში, ბევრნი არ არიან, რაც არ უნდა მწყობრად მოაბიჯებდნენ რუსთაველის გამზირზე. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ასე არ ფიქრობს. ძალიან ბევრი ადამიანი ვნახე, ბევრს დავუკავშირდი და თვითონაც დამიკავშირდნენ და ასე ნამდვილად არ ფიქრობენ. სრულიად რიგითი ადამიანები – ჩემი მეზობლები, მეგობრები და ა.შ. ისინი იძახიან, რომ ისინი ცოტანი არიან. ყველამ უნდა იცოდეს, რომ მათ თავისი არ გაუვათ.

ძალიან გაბრაზებული და ემოციური ვარ, მაგრამ პირიქით ძალიან ენერგიული ვარ. ვაპირებ, რომ აქტიურად გავაგრძელო მუშაობა იმისათვის, რომ რეფერენდუმი, რომელიც ოქტომბერში იქნება „ოცნებისთვის“, დამთავრდეს ისე, როგორც ამას იმსახურებს ჩვენი ქვეყანა, რომელსაც ნამდვილად აქვს ევროპული და ევროატლანტიკური მომავალი. თავისას ვერ მიაღწევს ვერც პუტინი და ვერც ეს დაგეშილი ჯოგი. არ მიყვარს ასეთი ტერმინები და არავის ახსოვს ჩემგან გამოყენებული ეს ტერმინები, მაგრამ ეს იყო დაგეშილი, ავადმყოფი ფსიქიკის მქონე დაგეშილი ჯოგი.

– რა გამოჩნდა ამ დღეებში? სახელმწიფო გვაქვს თუ არა?

– გააჩნია, რას ვეძახით სახელმწიფოს. თუ ჩვენთვის სახელმწიფო არის ხალხი, მაშინ სახელმწიფო გვაქვს, მაგრამ, თუ სახელმწიფოში მოვიაზრებთ ინსტიტუტებს, მაშინ სახელმწიფო არ გვაქვს. სწორედ ამიტომ არის, რომ უნდა ვიყოთ ყველაზე მკაცრები.

– ამ ყველაფრიდან გამომდინარე, შეგიძლიათ თქვათ, რომ მძიმე არჩევნები გველოდება?

– კი, არჩევნები მძიმე იქნება. მძიმე იქნება „ქართული ოცნებისთვის“. მძიმე შედეგით დამთავრდება მისთვის, იმიტომ, რომ 43%-ს ვერ აიღებს „ქართული ოცნება“. თუ დაგვხვრეტენ, არ ვიცი და სხვანაირად ვერ აიღებს.

– ამაზეც შეიძლება წავიდნენ?

– არა. მედია, აქამდე არ მივა საქმე. ახლა ბიძინას თავში რა გეგმა აქვს, ნამდვილად არავინ იცის. მას არ უნდა ძალაუფლების დაკარგვა და ესენიც (ხელისუფლების წარმომადგენლები) ვერ შეელევიან იმ მილიონებს, რასაც მთელი ამ წლების განმავლობაში შოულობდნენ. ეს გაუტკბათ მათ და ეს არის ფაქტი, მაგრამ ეგრეც არ არის საქმე. ამ ქვეყანაში სხვებიც ცხოვრობენ. პირველ რიგში ვგულისხმობ ხალხს, რომელსაც მოჰბეზრდა სიდუხჭირე და სიღარიბე, მოჰბეზრდა მათხოვრული კარტოფილი ან ოცლარიანი არჩევნები.

„არჩევნებზე მოსახლეობას დიდი იმედგაცრუება ელოდება“

ლევან ალაფიშვილი: „ოპოზიციას არ აწყობს ამ მოცემულობის შეცვლა“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ლევან, ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს კარს მომდგარ ძალიან მნიშვნელოვან არჩევნებზე?

– მმართველი პოლიტიკური ძალა ცდილობს, რაც შეიძლება მალე განიმტკიცოს სასტარტო პოზიციები არჩევნების წინ. არჩევნების, რომელსაც ადგილობრივმა და საერთაშორისო აქტორებმა მმართველობის ცვლილება დაუკავშირეს.

მეორე მხრივ, თვალყურს ვადევნებთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ პროცესს: ხელისუფლება ცდილობს, დაღმავალი რეიტინგის ფონზე, მისთვის ძალიან მნიშვნელოვან საარჩევნო ადმინისტრაციაში თუ სასამართლოში, პოზიციები ისე გაიმყაროს, რომ თუ მას დასჭირდა დახმარება, ეს დახმარება მიიღოს. სასამართლოც და ცენტრალური საარჩევნო ადმინისტრაციაც მისთვის იყოს ლოიალური. აქ ისინი მიზანმიმართულად ცდილობენ, იჩქარონ. მე პირადად სწორედ ამ ყველაფერს, მართლმსაჯულების სისტემასა და ცესკოში სიტუაციის ერთგვარ „დალაგებას“ ვუკავშირებ იმ სამწუხარო და სამარცხვინო მოვლენებს, რომლებიც ქუჩაში განვითარდა. უზენაეს სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატების, ცესკოს ხელმძღვანელისა თუ წვერების შერჩევის პროცესი ისე გავიდა, რომ საზოგადოების ყურადღება სულ სხვაგან იყო გადართული.

– ე.წ. გადაფარვას ჰქონდა ადგილი?

– დიახ. ეს არ არის „ქართული ოცნების“ ნოუ-ჰაუ. ამ მეთოდს წინა ნებისმიერი ხელისუფლებაც მიმართავდა და კარგად იყენებდა, შევარდნაძიდან მოყოლებული. სამწუხაროა, რომ ჩვენ ერთსა და იმავეს დაუღლელად ვუყურებთ.

თუკი ვინმეს დღეს არ აწყობს მოსამართლეების დანიშვნის პროცესის შეჩერება, რომელსაც სახელმწიფო დეპარტამენტიც კი გვთხოვს, ეს არის მმართველი პოლიტიკური ძალა. ამდენად, ვფიქრობ, „ქართული ოცნება“ შეეცადა ამ უმნიშვნელოვანესი თემის გადაფარვასა და მღვრიე წყალში, როგორც ქართული გამოთქმა გვეუბნება, თევზის დაჭერას.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ განვითარებული პროცესების კვალდაკვალ ოპოზიცია ძალიან პასიურია?

– მე ამაში უცნაურს ვერაფერს ვხედავ. ყველაფერი ნათლად ჩანს. ოპოზიციას არ აწყობს ამ მოცემულობის შეცვლა. როლები განაწილებულია და, როგორც ჩანს, ამ როლებით კმაყოფილი არიან. ღიად შეიძლება, ვიღაცები ოპონირებენ კიდეც, დახურულ კარს მიღმა კი სიკეთეებს იღებდნენ. დღეს არც ერთი მათგანი არ არის მზად, რომ ქვეყნის მართვის პასუხისმგებლობა აიღოს.

ამიტომ უნდა ვთქვა, რომ შემოდგომაზე საზოგადოებას ძალიან დიდი იმედგაცრუება ელოდება. შეიძლება, ეს სუსტ, განუვითარებელ პარტიულ სისტემას ან ოპოზიციური პარტიების ქცევას დავაბრალოთ, უფრო კონკრეტულად კი – არაადეკვატურ ქცევას, საკუთარი ამომრჩევლის იგნორირებას. აქ ვგულისხმობ მიშელის დოკუმენტზე ხელმოწერას, იმ მუხლებს, რომლებიც შეეხება ამნისტიას და ა.შ.

– რას გულისხმობთ იმედგაცრუებაში?

– დღეს ოპოზიცია არ არის მზად, პასუხისმგებლობა აიღოს. სამწუხაროდ, პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე არჩევანი ძალიან მწირია ან საერთოდ არ არის. ეს არის სამწუხარო რეალობა. მე, მზადყოფნაში განცხადებებსა და სიტყვით გამოსვლებს არ ვგულისხმობ. რეალურ შესაძლებლობებს, გამოცდილებას ვგულისხმობ. ამ მოცემულობაში არიან ისინი ჩაკეტილი. ამის ფასს გადაიხდიან შემოდგომაზე. ეს არის რეალობა. მათი არც ერთი პოლიტიკური ნაბიჯი არ არის გამარჯვებისკენ მიმართული. პლებისციტი რომ დანიშნულიყო, ცხადია, მე ამ შეფასებას არ გავაკეთებდი. როდესაც თვითმმართველობის არჩევნებს პლებისციტს არქმევ, ან მათემატიკაში გაქვს პრობლემა, ან საქმე გვაქვს იმ რეალობასთან, რომელიც გვაქვს. არსებითად განსხვავებულ რამეზეა საუბარი.

– არც გახარიაა მზად?

– არა. გახარიას ძალიან კარგად აქვს საკუთარი შესაძლებლობები შეფასებული, განსაზღვრული აქვს საკუთარი სტრატეგია და მიზანი.

– რა არის ეს მიზანი?

– მისი მიზანი არ არის საერთო ეროვნული მასშტაბის გამარჯვება. უკვე კონტურები მონიშნულია ცალკეულ მუნიციპალიტეტებში, სადაც ის მიაღწევს წარმატებას. შემდეგ საპარლამენტო არჩევნებში კი არა გამარჯვება და მმართველობის პრეტენზია, არამედ ოქროს გასაღების მოპოვება, რათა მის გარეშე ვერც ერთი კოალიცია ვერ შედგეს. ელექტორალური თვალსაზრისით შეიძლება ეს როლი სწორად და რაციონალურად არის წარმოდგენილი გახარიას მიერ.

გია ვოლსკი: „ერთი მხარე გვადანაშაულებს ლიბერალიზმის უარყოფაში, ხოლო მეორე — მხარდაჭერაში“

– „ქართული ოცნების“ ამომრჩეველი არის რაციონალური – საქართველოს პატრიოტი ადამიანები არიან, რომლებიც ევროინტეგრაციის ფასეულობას, ამ პროცესში ხელისუფლების წარმატებასა და ქვეყნის უსაფრთხოების საჭიროებას კარგად აფასებენ.

ამის შესახებ პარლამენტის პირველმა ვიცესპიკერმა გია ვოლსკიმ ჟურნალისტებს განუცხადა.

ვოლსკის თქმით, „ქართული ოცნების“ ამომრჩევლებმა იციან, რომ ნებისმიერი ძალადობა აღნიშნულ პრინციპებს აზიანებს.

– უნდა შევაფასოთ, ვინ დაზარალდა 5-6 ივლისს და ხმამაღლა ვინ გაჰყვირის იმ საკითხებზე, რაც სახელმწიფოს საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აყენებს. ყველა მოქმედება, რაც უკავშირდება ევროკავშირის დროშის ჩამოხევას, დაწვას და პოლიციის მიმართ დაუმორჩილებლობას, ასევე იმ ღონისძიებებს რაც პოლიციამ გაატარა – ამ ყველაფრის ანალიზიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, იყო თუ არა ეს პროცესი „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი. ერთი მხარე გვადანაშაულებს ლიბერალიზმის უარყოფაში, ხოლო მეორე – მხარდაჭერაში, – აღნიშნა გია ვოლსკიმ.

ციციშვილის ბავშვთა ახალ კლინიკაში აფხაზეთიდან გადმოყვანილ ბავშვს ინდური შტამი დაუდასტურდა

პირველადი სპეციფიკური პისიარ კვლევით ციციშვილის ბავშვთა ახალ კლინიკაში აფხაზეთიდან გადმოყვანილ ბავშვს კორონავირუსის ე.წ. ინდური შტამი დაუდასტურდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ კლინიკის სამედიცინო დირექტორმა მაია ჩხაიძემ განუცხადა, კლინიკაში მოთავსებულ კიდევ ერთ ბავშვს კორონავირუსის ე.წ. ბრიტანული შტამი დაუდასტურდა.

როგორც მაია ჩხაიძემ აღნიშნა, ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა და ისინი მართვით სუნთქვაზე არიან.

– პისიარ ტესტით „დელტას“ შტამი დადასტურდა, მაგრამ ეს არ არის საბოლოო პასუხი, სექვენირება სჭირდება, რომელსაც, არ ვიცი, ზუსტად რამდენი დრო დასჭირდება. ორი თვის ბავშვები არიან. ერთს აქვს „ბრიტანული“ შტამი და მეორეს – „დელტა“ ანუ ინდური. ისინი მართვით სუნთქვაზე იმყოფებიან, – განაცხადა ჩხაიძემ.

ამ დროისთვის ციციშვილის სახელობის ბავშვთა ახალ კლინიკაში 3 ახალშობილი მართვით სუნთქვაზე იმყოფება.

„ქვეყანაში ასეთი უთავბოლობა ტრაგედიამდე მიგვიყვანს“

მამუკა გიორგაძე: „დიდი დარტყმა მიადგა ქართულ სახელმწიფოს, ეკლესიასა და საზოგადოებას“

მარიამ მჭედლიშვილი

5-6 ივლისის მოვლენებზე საზოგადოება ძირითადად თანხმდება, რომ ამან ზიანი მიაყენა ქვეყანას. ვინ რატომ დარჩა კმაყოფილი მომხდარით? რომელ ისტორიულ გაკვეთილებს ვერ ვითვალისწინებთ? ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს, სახალხო პარტიის თავმჯდომარე მამუკა გიორგაძეს.

– კონტრაქციის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ გამარჯვება 5 და 6 ივლისს მოიპოვეს. მათ სჯერათ, რომ საქართველოში დაწყებულია ლიბერალური დიქტატურის დასასრული. თავის მხრივ, „თბილისი პრაიდიც“ მომავალ გეგმებს აწყობს. არადა, მომხდარით დაზიანდა სახელმწიფო. ფიზიკურად დაშავდნენ კონკრეტული მოქალაქეები.

– რა თქმა უნდა, დიდი დარტყმა მიადგა ქართულ სახელმწიფოს, ეკლესიასა და მთელ საზოგადოებას. პროცესს კმაყოფილებიც ჰყავს. კონტრაქციის მომწყობებმა შეიძინეს ფუნქცია, გავიდნენ საზოგადოების გარკვეულ წრეზე. „თბილისი პრაიდიც“ არ არის უკმაყოფილო. ხელისუფლებას თავისი უმოქმედობით თავისი გათვლა ჰქონდა. პოლიტიკაშიც ამავეს აკეთებს. აქაც, ისევე, როგორც პოლიტიკაში, გაიკრიფა შუა, გაიწია საღი აზრი და დარჩნენ კონფლიქტის მხარეები. ვინ და რა დაზარალდა? სამწუხაროდ, პირველ რიგში – ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიის, ასევე საქართველოს იმიჯი საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში. ეკლესიას ახალი ცილი დასწამეს. ბუნებრივია, ზიანი მიიღო მთელმა საზოგადოებამ. დაპირისპირებიდან, დაპირისპირებული მხარეების გარდა, მოგებული დარჩნენ ნაცმოძრაობა და ხელისუფლება.

– მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქციის წევრებმა აიღეს ნაცმოძრაობასთან ასოცირებული კარვები?

– იმ კარვებში თვითონ ნაცმოძრაობა არ მჯდარა. ამ კარვებმა თავი ამოწურა. ნაცმოძრაობას მიეცა სალაპარაკო.

– თავიდანვე ცხადი იყო, რომ 5 ივლისი მშვიდად არ ჩაივლიდა. ხელისუფლებას რამე უნდა ეღონა?

– რასაკვირველია. ხელისუფლებას ანგარიში უნდა გაეწია საპატრიარქოს პოზიციისათვის. ეს აზრი ეკლესიამ სხვადასხვა დროს რამდენჯერმე გამოთქვა. საუბარია ადამიანის უფლებათა ევროპული ქარტიის შესრულებაზე. ამ ქარტიის თანახმად, თუ ადამიანთა აზრის გამოხატვა, შეკრება ემუქრება უსაფრთხოებას, სიმშვიდესა და სტაბილურობას, ის შეიძლება აიკრძალოს. ეს არის ჯანსაღი აზრი, რომელიც ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა. მან მოედანი დაუთმო ლგბტ-პირების უფლებათა დამცველებსა და მათ მოწინააღმდეგეებს ანუ რადიკალებს.

– რატომ?

– ალბათ, აწყობდა ესკალაცია და პოლარიზაცია. იმ დროს, როცა მსოფლიო ყურადღება მოპყრობილია შავი ზღვისკენ, სადაც მიმდინარეობს ნატოს წვრთნები, ჩვენი დრო და ენერგია ამას ეთმობა. ვიღას ახსოვს წვრთნები, სასამართლო რეფორმა, თვითმმართველობა და სამართლიანი არჩევნები. თუ არ ეთანხმები პრაიდის მარშს, თუ ხედავ, რომ ხელისუფლება არ მოგყვება, სხვანაირად იმოქმედე! თუ პრეტენზია გაქვს, ხელისუფლებას მოსთხოვე. რა შუაშია საერთაშორისო ლიბერალური დიქტატურა და მისი დამარცხება?! გაიგე, ვის მხარეზეა ხელისუფლება და ისე იმოქმედე. ეს არის პოლიტიკური ანაბანა. საქმე ისაა, რომ სხვა სცენარში მონაწილეობ.

– დაპირისპირებები ხშირად გარედან იმართება. თქვენც გისაუბრიათ იმაზე, რომ საქართველოში მართვადი ქაოსის ორგანიზატორია რუსეთი, რომელსაც ქართველ პოლიტიკოსებში შემსრულებლები ჰყავს.

– რასაკვირველია. ამიტომ ვამბობ, რომ თუ პრეტენზია და მოთხოვნები გაქვს, მიდი ხელისუფლებასთან. შეიკრიბეთ მთავრობის ადმინისტრაციასთან. გაეროს ოფისთან რატომ მიდიხარ და პარლამენტიდან ევროკავშირის დროშას რატომ ხსნი და წვავ?! გაერო და ევროკავშირი დაბალი ღობეა?! ასეთი უთავბოლობა ტრაგედიამდე მიგვიყვანს. მახსენდება 1989 წელი და ცხინვალის რეგიონში გააქტიურებული „ადამონ ნიხასი“. მისთვის პასუხის გასაცემად ცხინვალისკენ დაიძრა 15.000 კაცი. ეს ხალხი რუსეთის სპეცსამსახურებმა და ადგილობრივმა ოსებმა კუდამოძუებული დააბრუნეს უკან. ეს საკითხი გახდა დაპირისპირების საგანი ეროვნულ მოძრაობაში. სამწუხაროდ, ამან შელახა საქართველოს მსოფლიო იმიჯი, შეამცირა ჩვენ მიმართ საერთაშორისო ყურადღება. არავინ დაიჯერა, რომ 15.000 ადამიანი იქ მშვიდობიანი მიტინგისთვის ჩადიოდა. თანაც, ქურთში უკვე იმყოფებოდა „მხედრიონი“. პროვოკაციები და პოლარიზაცია საშიშია. ქვეყანა, ეკლესია და საზოგადოება დაზარალდა, თორემ, იმავე „თბილისი პრაიდმაც“ შეასრულა თავისი ამოცანა.

– ეს ხალხი 6 ივლისს მაინც შეიკრიბა. ამაზე საუბრობთ?

– დიახ. ლგბტ-დროშებიც ჰქონდათ გამოტანილი. მიტინგზე მისვლამდე რუსთაველზე გაიარეს. ფაქტობრივად, მარში შედგა. გვერდზე ისეთი ცნობილი სახეები დაიყენეს, რომლებთან ერთად დგომას ვერ დაგეგმავდნენ. ზოგიერთი ცნობილი ადამიანი იმ დღეს ჟურნალისტებზე თავდასხმების გასაპროტესტებლად იყო მისული ქალაქის ცენტრში. ჟურნალისტების ცემა დასაგმობია, მაგრამ აქცენტი მარტო ამაზე არ უნდა კეთდებოდეს. ვიშვიში, რა დღეში აღმოვჩნდითო, არ კმარა. ხომ უნდა გაიაზრო, რა ხდებოდა ბოლო 30 წლის განმავლობაში?! საზოგადოებამ უნდა განჭვრიტოს, რასთან გვაქვს საქმე. საზოგადოება უნდა გააქტიურდეს.

– ფრანგმა ტურისტებმა გადაიფიქრეს საქართველოში ვიზიტი. საფრანგეთში დროებით მცხოვრები და დასაქმებული ქართველებიც კი დაჯავშნილ ბილეთებს უკან აბარებენ და სამშობლოში ჩამოსვლაზე უარს ამბობენ. ეს რას ნიშნავს? გარედან უფრო მძაფრად აღიქმება მომხდარი?

– რასაკვირველია. იმათ დეტალები არ იციან, ვერ ხვდებიან, შიგნით რა ხდება და უფრო მწვავედ აღიქვამენ მოვლენებს. ჩვენ ვიცით, რომ მღვდელი, რომელსაც ძალადობას აბრალებენ, არ არის მოძალადე.

– პოლონელი ტურისტის ცემაც მძიმე საყურებელია.

– ეს სხვა შემთხვევაა. ამ ტურისტის ოჯახი ამბობს, რომ აქ ფსიქოლოგიური ფაქტორებია გასათვალისწინებელი. სექსუალური უმცირესობები და მათი უფლებადამცველები გაავრცელებენ აზრს – გვარბევენ და მეტი ფინანსები გამოგვიყავითო. ნაცმოძრაობასა და მის არხებს ახალი საკბილო და ცილისწამების საკვები გაუჩნდათ.

– არჩევნებზეც აისახება ეს მოვლენები?

– მმართველი პარტიაც იყენებს ამ სიტუაციას. ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ შექმნა რევოლუციური მდგომარეობა და პოლარიზაცია. „ოცნებამ“ კიდევ ერთხელ მიანიშნა თავის ამომრჩეველს, რომ შესაძლებელია დამნაშავე რეჟიმის ანუ სააკაშვილის რეაინიმირება. „ქართულმა ოცნებამ“ კიდევ ერთხელ ცადა შუას გაკრეფა საარჩევნოდ. ანალოგიური მოხდა სომხეთში. ხალხმა ხმა მისცა ომში დამარცხებულ ფაშინიანს იმის გამო, რომ ვერ იტანს წინა ხელისუფლებებს. სხვა პოლიტიკური ძალები პროცესიდან გამოთიშეს. ჩვენთან ეს დიდი ხანია, ხდება.

ახალციხის კლინიკიდან მეგი ბაქრაძის აცრასთან დაკავშირებული ყველა პირი გაათავისუფლეს

ახალციხის კლინიკა „იმედიდან“, სადაც გარდაცვლილი მედდა მეგი ბაქრაძე აიცრა, ექიმი, რეანიმატოლოგი, რეანიმატოლოგის დამხმარე, მედდა და ვაქცინაციის პროცესთან დაკავშირებული ყველა პირი გაათავისუფლეს.

ამის შესახებ ინფორმაციას ბაქრაძის ოჯახის ადვოკატი ავრცელებს.

ის, კლინიკიდან უარყოფის მიუხედავად, დარწმუნებულია, რომ გათავისუფლებების სერია სამედიცინო დაწესებულებაში სწორედ მედდის საქმეს უკავშირდება.

– მეგის იმუნიზაციასთან დაკავშირებული ყველა პირი გათავისუფლდა, გვეუბნებიან, რომ ეს არ არის კავშირში მეგის გარდაცვალებასთან. აქ ძალიან ლოგიკური კითხვა ჩნდება, თუ სამედიცინო პერსონალი არ არის კავშირში, მაშინ საერთოდ რა არის. გამოდის, რომ ყველანაირად გამოირიცხა ის, რომ ან რაიმე გადაცდომით, ან უზუსტობით ან რაღაცით მივდივართ მეგის გარდაცვალებამდე. ჩვენ ვაყენებთ ამ პირების სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და ამასობაში გაათავისუფლეს სამსახურიდან, – თქვა ადვოკატმა ვახტანგ ბარამაშვილმა.

ადვოკატი კითხვებზე პასუხს ახლა საგამოძიებო უწყებისგან ელოდება, რომელმაც უნდა განმარტოს, ვინ არის პასუხისმგებელი მეგი ბაქრაძის გარდაცვალებაზე.

თბილისი პრაიდის ოფისში შეჭრისა და დაზიანების გამო 3 პირი დააკავეს

პოლიციამ „თბილისი პრაიდის“ ოფისში შეჭრის და დაზიანების გამო 3 პირი დააკავა. დაკავებული არიან 1992 წელს დაბადებულ გ.ე., 1998 წელს დაბადებული წარსულში ნასამართლევი ა.ა. და 1992 წელს დაბადებულ გ.ო.

მათ ბრალად ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა, დევნა ძალადობით ან ძალადობის მუქარით და ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის ჯგუფურად დარღვევა ედებათ.

„სამართალდამცველთა მიერ ჩატარებული გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ბრალდებულებმა: გ.ე.-მ, ა.ა.-მ და გ.ო.-მ 5 ივლისს, „თბილისი პრაიდის“ ოფისის მფლობელების ნების საწინააღმდეგოდ უკანონოდ შეაღწიეს ოფისის აივანზე, რასაც მოყვა ძალადობა, რბევა, სხვისი ნივთის დაზიანება, განადგურება. მათი კანონსაწინააღმდეგო ქმედება ადამიანების, კერძოდ, სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელთა დევნით იყო გამოწვეული. დაკავებული პირების მიმართ გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 160-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობას, ძალადობით ან ძალადობის მუქარით დევნას და ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის ჯგუფურად დარღვევას გულისხმობს“, – წერია უწყების განცხადებაში.

დანაშაული 2-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

უწყების ინფორმაციით, ამ დროისთვის, ჟურნალისტებზე თავდასხმის, დევნის, ჯგუფური ძალადობის, მუქარის და ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის ჯგუფურად დარღვევის ფაქტებზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, სამართალდამცველების მიერ სულ 15 პირია დაკავებული. გრძელდება ინტენსიური საგამოძიებო და სამძებრო მოქმედებები.

მეუფე იოანე: „რატი წვერავამ თვითონ შემოიხია საროჩკა და ჩხუბი დაიწყო“

რას პასუხობს ჟურნალისტი

ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი იოანე ამტკიცებს, რომ 5 ივლისს „ფორმულას“ ჟურნალისტმა რატი წვერავამ „საროჩკა“ თვითონ შემოიხია და ჩხუბი დაიწყო.

– საროჩკა სველი ჰქონდა წყლისგან, შემოიხია, გადააგდო, გაიქცა ქუჩის მეორე მხარეს და იქ დაიწყო ჩხუბი, იძახის, მღვდელმა მე არ მიშველა, არ დამეხმარაო. რაში დაგეხმარო, ძმა, გინდა, შენთან ერთად ვლანძღო გარშემო ხალხი?! – თქვა მიტროპოლიტმა.

გავრცელებულ კადრებში კარგად ჩანს, როგორ ძალადობენ რატი წვერავაზე, როგორ ურტყამენ მას წიხლებს. იქვე იმყოფებიან სასულიერო პირებიც, რომლებსაც არანაირი რეაგირება არ ჰქონიათ.

ჟურნალისტი ამბობს, რომ მასზე თავდასხმა სწორედ მეუფე იოანემ წაახალისა.

– მეუფე, რა თქმა უნდა, მე შემოვიხიე პერანგი, იმიტომ, რომ სველი მქონდა, მე მივიყენე ფიზიკური დაზიანებები სახეზე, თავზე, სხეულზე, თქვენ საერთოდ რა შუაში ხართ. რეალურად კი მეუფე იოანე გამრეკელი იყო ადამიანი, რომელმაც ბიძგი მისცა ჩემზე განხორციელებულ ძალადობას. კიდევ კარგი, რომ არსებობს ტელევიზიების მიერ გადაღებული კადრები, არსებობს ფოტოები, სადაც ჩანს, როგორ ძალადობენ ჩემზე, თორემ, დარწმუნებული ვარ, ეს ადამიანები ამ ვერსიას განავითარებდნენ, – თქვა რატი წვერავამ.

„ყველამ თავის ბოზ მამიდას მიხედოსო“

გორის მე-5 სკოლის დირექტორი ზურაბ ქარელი მოხსნეს

US Embassy Tbilisi, Georgia
ავსტრია, ბელგია-ლუქსემბურგი, ბულგარეთი, ინგლისი, ირლანდია, ესპანეთი, ლიტვა, ლატვია, ნიდერლანდები, ნორვეგია, ესპანეთი, შვეიცარია, ფინეთი, საფრანგეთი, ჩეხეთი, ხორვატია, ბერძნეთი, ბელგია

„ქურდული სამყაროს“ წევრობისა და „ქურდულ შეკრებაში“ მონაწილეობის ბრალდებით 25 პირი დააკავეს

4 პირს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ბრალი წარედგინა, იძებნება 2 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტისა და ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის რუსთავის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ერთობლივად, ექვსთვიანი კომპლექსური ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად: რუსთავში, თბილისში, გორში, ქარელში, ხონში, ამბროლაურში, ბოლნისში, თეთრიწყაროში, დმანისში, ლაგოდეხსა და გარდაბანში „ქურდული სამყაროს“ წევრობის, ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერის და კანონიერი ქურდისთვის მიმართვის ბრალდებით 25 პირი დააკავეს. ამავე ბრალდებით სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ბრალი წარედგინება დამატებით 4 პირს.

ჩატარებული სპეციალური საპოლიციო ღონისძიების შედეგად დაკავებული არიან: 1991 წელს დაბადებული გ.ვ. 1987 წელს დაბადებული ს.ტ. (მეტსახელად „ყასაბიჩი“), 1988 წელს დაბადებული ბ.ხ. 1995 წელს დაბადებული ა.ა. 1989 წელს დაბადებული მ.ჭ. 1990 წელს დაბადებული თ.ტ. (მეტსახელად „ჩიჟიკა“), 1998 წელს დაბადებული ა.მ. (მეტსახელად „წიწაკა“) 1994 წელს ა.შ. 1999 წელს დაბადებული ა.შ. 1995 წელს დაბადებული მ.ფ. 1992 წელს დაბადებული ღ.ტ. 1993 წელს დაბადებული გ.ბ. 1993 წელს დაბადებული ს.მ. 1986 წელს დაბადებული ღ.ვ. 1985 წელს დაბადებული ზ.გ. 1967 წელს დაბადებული ლ.გ. 1984 წელს დაბადებული შ.ლ. 1988 წელს დაბადებული გ.ვ. (მეტსახელად „მღვდელოვიჩი“), 1990 წელს დაბადებული ა.ა. (მეტსახელად „ბოთე“) 1999 წელს დაბადებული ნ.ი. 1992 წელს დაბადებული თ.ნ. 1971 წელს დაბადებული ბ.ა. 1979 წელს დაბადებული გ.ჯ. (მეტსახელად „ხორთუმა“), 1985 წელს დაბადებული გ.ჭ. (მეტსახელად „რიჟა“) 1991 წელს დაბადებული ა.ჯ.

პენიტენციარულ დაწესებულებაში ბრალი წარედგინათ: 1997 წელს დაბადებული გ.ხ.-ს (მეტსახელად „მაწაკი“) 1974 წელს დაბადებული ზ.კ.-ს 1994 წელს დაბადებული გ.რ.-ს და 1990 წელს დაბადებულ ზ.ა.-ს.

სამართალდამცველების მიერ მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე ბრალდებულია კიდევ ორი პირი – 1992 წელს დაბადებულ თ.ჭ.-ს და 1987 წელს დაბადებულ ი.გ.-ს მიმართ გრძელდება სამძებრო ღონისძიებები.

ჩატარებული კომპლექსური გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნული პირები აღიარებდნენ „ქურდულ სამყაროს“ და აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა დანაშაულებრივ საქმიანობაში. სისტემატიურად მონაწილეობდნენ ქურდულ გარჩევებში, რომელიც შეეხებოდა პირის ქმედების შეფასებას, დავის გადაწყვეტას, სტატუსის შეცვლას და ქურდული სამყაროს საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხების განხილვას, რითაც ცდილობდნენ მიეღოთ ფინანსური სარგებელი და მოეპოვებინათ უპირატესობა, კრიმინალური გავლენა და ძალაუფლება.

წარსულში მრავალგზის ნასამართლევ პირებს მოწყობილი ჰქონდათ სპეციალური სივრცე, სადაც ახდენდნენ კრიმინალურ გარჩევებს, აორგანიზებდნენ და გეგმავდნენ სხვადასხვა დანაშაულებს. გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულებს კავშირი ჰქონდათ საზღვარგარეთ მყოფ 9 კანონიერ ქურდთან, მათ შორის არიან: კახა შუშანაშვილი, შოთა ასათიანი, ნამიქ სალიფოვი, ლუკა ასანიძე, პაატა ბაქრაძე, დავით ქურასბედიანი და სხვა „კანონიერი ქურდები“.

ბრალდებულების კრიმინალური ქმედებებით დაზარალებულია 100-მდე მოქალაქე.

დანაშაულები 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მათი პირადი და საცხოვრებლების ჩხრეკის შედეგად ამოღებულია: მობილური ტელეფონები, კომპიუტერული ტექნიკა, ნარკოტიკული საშუალებები და ასევე ამოღებულია ძვირადღირებული ავტომობილი.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, 223-ე პრიმა-3 და 223-ე პრიმა-4 მუხლებით მიმდინარეობს.

ზურაბ ადეიშვილსა და დავით ჭაკუას 4 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიესაჯათ

ე.წ. ციხის კადრების საქმეზე ზურაბ ადეიშვილი და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით ჭაკუა დამნაშავედ ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით, აღნიშნულ საქმეზე ზურაბ ადეიშვილს განესაზღვრა 4 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ჯარიმა 5.000 ლარის ოდენობით და 2 წლით და 3 თვით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება; ამავე განაჩენით, დავით ჭაკუას განესაზღვრა 4 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ჯარიმა 5.000 ლარის ოდენობით და 2 წლით და 3 თვით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება.

პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლომ, იუსტიციის ყოფილი მინისტრი ზ.ა. და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე დ.ჭ. დამნაშავედ ცნო ე.წ. „2012 წლის ციხის კადრების“ საქმეზე, კერძოდ პატიმართა მიმართ დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ორგანიზების, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაციის ორგანიზების, მოწმეზე ზემოქმედების და დანაშაულის პროვოკაციის ორგანიზების ფაქტზე.

უწყების ცნობით, სასამართლოში ბრალდების მხარის მიერ გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა რომ, 2012 წლის სექტემბრის დასაწყისში ზ.ა.-მ შეიტყო, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N8 დაწესებულებაში გადაღებული იყო პატიმრების ცემისა და წამების ამსახველი ვიდეომასალა, რომელიც შესაძლოა გამოქვეყნებულიყო ევროპის რომელიმე ქვეყნის ტელევიზიით.

„2012 წლის 17 სექტემბერს, ზ.ა.-მ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე დ.ჩ. და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე დ.ჭ. დაიბარა. თათბირზე გადაწყდა, რომ სასჯელაღსრულების N8 დაწესებულების თანამშრომლებს, ვ.ბ.-სთან დაკავშირებულ პირებს, ბ.ფ.-ს და ლ.ფ.-ს უნდა განეხორციელებინა ამავე დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრების დამცირება, ცემა და სიტყვიერი შეურაცხყოფა, რაც უნდა გადაეღოთ ვიდეოზე. ხსენებულ პირთა ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე ფალსიფიკაციის გზით მტკიცებულებები უნდა შეკრებილიყო იმგვარად, რომ პატიმართა მიმართ ძალადობა დაბრალებოდა პოლიტიკურ გაერთიანება „ქართული ოცნებას“.

ზ.ა-სთან შეხვედრის შემდეგ, იმავე დღეს, დ.ჭ.-მ N8 დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების უფროსი – ლ.ფ. დაიყოლია ფარული ვიდეოკამერით პატიმართა მიმართ ძალადობის გადაღებაზე. პატიმართა მიმართ არაადამიანურ მოპყრობაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ ამავე დაწესებულების თანამშრომლებს – ბ.ფ.-ს და ლ.ფ.-ს. ამავდროულად, ლ.ფ.-ს საჯაროდ უნდა გაევრცელებინა ცრუ ინფორმაცია, თითქოს ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებმა ვ.ბ.-ს მეშვეობით, გარკვეული თანხის სანაცვლოდ შეუკვეთეს ციხეში პატიმრების წამება.

2012 წლის 17 სექტემბერს, დ.ჭ.-მ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებების ფალსიფიკაციის მიზნით, იძულებით, შანტაჟისა და მუქარის გზით დაიყოლია ყოფილი პატიმარი და ვ.ბ.-სთან დაახლოებული პირი – ნ.მ. ცრუ ჩვენების მიცემაზე, თითქოს-და პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნებისგან“ გარკვეული თანხის მიღების სანაცვლოდ ვ.ბ. საპყრობილეებში პატიმართა ცემისა და წამების ამსახველი კადრების გამოქვეყნებას გეგმავდა.

2012 წლის 18 სექტემბერს, დავალებისამებრ, ლ.ფ.-მ, ბ.ფ.-სთან და ლ.ფ.-სთან ერთად N8 დაწესებულების N37-ე საკანში გააშიშვლეს პატიმრები რ.გ. და ე.წ., დააჩოქეს მუხლებზე და მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა.

იმავე დილით, შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მეშვეობით ლ.ფ.-მ საზოგადოებას მიაწოდა ცრუ ინფორმაცია, თითქოსდა პატიმართა ცემა და შეურაცხყოფა მოხდა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების შეკვეთით.

მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, მტკიცებულებების ფალსიფიკაციის მიზნით ლ.ფ.-ს სამუშაო ოთახში შეიტანეს და წინასწარ საგანგებოდ მომზადებულ სეიფში მოათავსეს 14 100 აშშ დოლარი, მაისური მასზე დამონტაჟებული ვიდეოკამერით და ლაზერული დისკი, სადაც ასახული იყო N37 საკანში განხორციელებული ძალადობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს, 2021 წლის 6 ივლისის განაჩენით, ზ.ა. დაუსწრებლად დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-332-ე მუხლის მეორე ნაწილით და მესამე ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 25-1443 მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით, 25-3691 მუხლის მესამე ნაწილით და 25-145-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად, 2012 წლის 28 დეკემბერს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენების შემდგომ, განესაზღვრა 4 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით და 2 წლით და 3 თვით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება; ამავე განაჩენით, დ.ჭ. დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 25-1443 მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით, 3691 მუხლის მესამე ნაწილით, 372-ე მუხლის მეორე ნაწილით და 25-145-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად, 2012 წლის 28 დეკემბერს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენების შემდგომ, განესაზღვრა 4 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით და 2 წლით და 3 თვით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება.

საქართველოსა და არაბთა გაერთიანებული საემიროების შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა არაბთა გაერთიანებული საემიროების პრემიერ-მინისტრის მოადგილესთან შს მინისტრთან – შეიხ სეიფ ბინ ზაიედ ალ ნაჰიანთან ვიდეოკონფერენციის ფარგლებში შეხვედრა გამართა.

შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა ხელი მოაწერეს პოლიციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომელიც სტატუსით საერთაშორისო ხელშეკრულებას წარმოადგენს და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მხარეებს შორის როგორც სტრატეგიული, ასევე ოპერატიული მიმართულებებით თანამშრომლობას ითვალისწინებს.

შეხვედრაში ასევე მონაწილეობდნენ არაბთა გაერთიანებულ საემიროებში საქართველოს ელჩი– პაატა კალანდაძე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი ბუთხუზი და შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი ეკატერინე მაჭავარიანი, ხოლო არაბთა გაერთიანებული საემიროების მხრიდან – შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექტორი, საქართველოში არაბთა გაერთიანებული საემიროების დროებით საქმეთა რწმუნებული და სხვა მაღალი თანამდებობის პირები.

ვიდეოკონფერენციის ბოლოს მხარეებმა ხაზი გაუსვეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და არაბთა გაერთიანებული საემიროების შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის არსებულ სექტორულ თანამშრომლობას, რომელიც მიზნად ისახავს პროექტ „უსაფრთხო ქალაქი-უსაფრთხო ქვეყნის“ ფარგლებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების განვითარებასა და ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვას.

ვეტერანების საქმეთა სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს უფროსი დავით ფეიქრიშვილი დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე ერთი პირი დააკავა.

უწყების ცნობით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, სსიპ-ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის რეგიონული მართვის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს უფროსი დავით ფეიქრიშვილი დააკავეს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების უგულებელყოფით, მოქალაქეს მიაქირავა, ქ. ახალციხეში მდებარე, სსიპ-ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის გამგებლობაში არსებული საოფისე ფართი, რომლის სანაცვლოდაც, გამოართვა ფულადი თანხა 1 000 ლარის ოდენობით, როდესაც მოხდა მისი დაკავება.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე ვადით“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

ქმრის მიერ მოკლული მარიკა წივწივაძის დედამ სტრასბურში 35.000 ევრო მოიგო

საქართველომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წააგო საქმე, რომელიც ყოფილი ქმრის მიერ ილიაუნის ლექტორ მარიკა წივწივაძის მკვლელობას ეხება. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ პოლიციამ ქალი გენდერული ნიშნით ძალადობისგან ვერ დაიცვა.

სტრასბურმა დაადგინა, რომ დარღვა კონვენციის მეორე მუხლი (სიცოცხლის უფლება) და მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის უფლება). სასამართლოს სარჩელით გარდაცვლილის დედამ, თალიკო თხელიძემ მიმართა. საქართველოს მოსარჩელისთვის 35.000 ევროს ოდენობის კომპენსაციის გადახდა დაეკისრა.

„სასამართლომ დაადგინა, პოლიციას უნდა სცოდნოდა, რომ მოსარჩელის შვილი საფრთხეში იყო. დაცვის სხვადასხვა ღონისძიების არსებობის მიუხედავად, რომლის მიღებაც მათ [სამართალდამცავებს] შეეძლოთ, ვერ შეძლეს ქალის დაცვა გენდერული ნიშნით ძალადობისგან, რამაც მისი გარდაცვალება გამოიწვია.

სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიციის უმოქმედობა შეიძლება, განხილულ იქნას, როგორც სისტემური ჩავარდნა. არსებობდა იმის გადაუდებელი აუცილებლობა, რომ ჩატარებულიყო გამოძიება, იდგა, თუ არა პოლიციის უმოქმედობის უკან გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია“, – ნათქვამია სტრასბურის გადაწყვეტილებაში.

2014 წლის 17 ოქტომბერს მარიკა წივწივაძე მისმა ყოფილმა ქმარმა ლაშა მაღრაძემ სამსახურში, ილიაუნში, ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა და შემდეგ თავი მოიკლა.

ორგანიზაცია საფარი, რომელიც გარდაცვლილის ოჯახის ინტერესებს იცავს აცხადებდა, რომ ყოფილი ქმარი წივწივაძეს მუდმივად უსწორდებოდა ფიზიკურად და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა. ასევე, რამდენჯერმე მას და მის შვილს მკვლელობით დამუქრა.

გარდა ამისა, ორგანიზაციაში ამბობენ, რომ მარიკა წივწივაძემ პოლიციას ჯერ კიდევ ქმართან თანაცხოვრების დროს მიმართა, ხოლო თბილისში საცხოვრებლად გადასვლის შემდეგ კაცისგან მუქარას იღებდა.

2017 წელს მარიკა წივწივაძის მკვლელობის საქმეზე პასუხისმგებლობა სახელმწიფოსაც დაეკისრა. შსს-ს დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება დედისათვის და ყოველთვიური სარჩოს გადახდა დაობლებული შვილისათვის სრულწლოვნებამდე.

ბორის ჯონსონი: „ბრიტანეთმა ავღანეთიდან თითქმის ყველა ჯარისკაცი გაიყვანა“

გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრ ბორის ჯონსონის განცხადებით, ბრიტანეთის ჯარის უმეტესი ნაწილი ავღანეთიდან გაყვანილია.

– ყველა ბრიტანელი სამხედრო, რომელიც ავღანეთში ნატო-ს მისიაში მონაწილეობდა, ახლა სახლში ბრუნდება. გასაგები მიზეზების გამო მე არ გავასაჯაროებ გასვლის გრაფიკს, თუმცა შემიძლია ვუთხრა პარლამენტს, რომ ჩვენი პირადი შემადგენლობის უმეტესობამ ქვეყანა უკვე დატოვა, – განაცხადა ბორის ჯონსონმა პარლამენტში საუბრისას.

ბრიტანეთის ძალები ავღანეთში 2001 წელს, 9/11 ტერაქტების შემდეგ განათავსეს.

მისიის განმავლობაში ავღანეთში 457 ბრიტანელი სამხედრო დაიღუპა.

პრემიერმა სუგამ ტოკიოში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა

იაპონიის პრემიერ-მინისტრმა იოშიჰიდე სუგამ ტოკიოში საგანგებო მდგომარეობა ოფიციალურად გამოაცხადა.

საგანგებო მდგომარეობა ძალაში 22 აგვისტოს ჩათვლით დარჩება.

ხელისუფლებამ აღნიშნული გადაწყვეტილება დედაქალაქში კორონავირუსის შემთხვევების მნიშვნელოვანი ზრდის ფონზე მიიღო. ტოკიოში გასული დღის განმავლობაში კორონავირუსის 920 ახალი შემთხვევა გამოვლინდა, რაც რეკორდულად მაღალი დღიური მაჩვენებელია 13 მაისის შემდეგ.

შეგახსენებთ, ტოკიოში 23 ივლისს ოლიმპიადა იწყება, რომელიც 8 აგვისტომდე გაგრძელდება.

საფრანგეთში კოვიდით ინფიცირების 40% „დელტა“ ვარიანტზე მოდის

საფრანგეთში მიმდინარე კვირაში კორონავირუსით ინფიცირების შემთხვევების დაახლოებით 40% „დელტა“ ვარიანტზე მოდის.

ამის შესახებ ქვეყნის მთავრობის პრესსპიკერმა გაბრიელ ატალმა განაცხადა.

მისი თქმით, „დელტა“ ვარიანტის წილი ბოლო სამი კვირის განმავლობაში ყოველ კვირაში ორმაგდება.

მთავრობის პრესსპიკერის განმარტებით, სამი კვირის წინ აღნიშნულ ვარიანტზე ინფიცირების შემთხვევების 10% მოდიოდა. ეს მაჩვენებელი გასულ კვირაში – 20%-მდე, მიმდინარე კვირაში კი 40%-მდე გაიზარდა.

საფრანგეთში სრულად ვაქცინირებული მოსახლეობის თითქმის 40%-ია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

საზოგადოება

მუსიკოსი ლევან შარაშიძე ჯგუფიდან გაუშვეს

მუსიკოსი ლევან შარაშიძე ჯგუფმა „ნიუ ვან“ თავისი შემადგენლობიდან გაუშვა. ამ ფაქტთან დაკავშირებით**ჯგუფმა ოფიციალური განცხადება გაავრცელა:**

– თავს ვთვლით ვალდებულად, გამოვეხმაუროთ განვითარებულ მოვლენებს, რადგან ის, რაც ჩვენ ვიხილეთ, არ იყო რიგითი ძალადობა, რასაც მივეჩვიეთ ბოლო დროის განმავლობაში – ეს იყო გაფორმება ძალადობრივი ჯგუფების თარეშის, რაც ძალიან საშიში მოვლენაა ქვეყნისათვის და საწინდარია სამოქალაქო დაპირისპირების. ეს ყოველივე, ცხადია, მხოლოდ ჩვენს მტრებს აძლევთ ხელს.

სამწუხაროდ, ამავე მოვლენას დაემთხვა ჩვენი გიტარისტის ლევან შარაშიძის ბენდიდან გაშვება, რომელთან წლები გვაკავშირებს. ეს, უბრალოდ, ბოლო აკორდი აღმოჩნდა მისი უპრინციპობის, რადგან მან თავის მუსიკალურ პრინციპებს და თავისივე ღირებულებებს დიდი ხანია უღალატა – მისივე თქმით, მხოლოდ ფინანსური კეთილდღეობისთვის. მიუხედავად იმისა, რომ შემოთავაზებების სიმცირეს არც ერთი ჩვენგანი არ განვიცდით, ჩვენთვის გაუგებარ ფენომენად რჩება, „ფულის გამო“ უღალატო საკუთარ თავს, საკუთარ ღირებულებებს, მუსიკას. ჯგუფის არც ერთი წევრი არ იზიარებს მის პოზიციას.

განვითარებულმა მოვლენებმა კი ბოლო წერტილი დაუსვა ჩვენს ურთიერთობებს, არა მარტო ჩვენს მასთან, სავარაუდოდ, მის მუსიკალურ კარიერასაც გარკვეულწილად. საჯარო სივრცეში ამ თემის განხილვაც მან თავად აირჩია! შეუსაბამოა, იყო მუსიკოსი და იყო კომბლე აქციაზე შეძახილებით „გაიძუყნებით ვირთხებო“ და ხელებს უქნევდე საკუთარ მოქალაქეებს, გძულდეს და მოუწოდო ხალხს ჩაგვრისა და აგრესიისკენ.

პატივს ვცემთ მედიასაშუალებების დაინტერესებას ბენდის მიმართ, მაგრამ აქვე გვინდა, მკაფიოდ განვაცხადოთ, რომ არ ვაპირებთ ამ თემის მეტი საჯაროობის მიცემას. ჩვენი ბენდის წევრთან განშორება ჩვენთვის საკმაოდ რთულია. ჩვენ დავშორდით ერთმანეთს, რადგან ჩვენი გზები გაიყო როგორც იდეურად, ასევე მუსიკალურად და ამის პოლიტიზებას ან მეტ სიღრმეებში შესვლას არ ვაპირებთ. მადლობა დაინტერესებისთვის. ეს თემა დახურულია.

თავად **ლევან შარაშიძე** კი ჯგუფიდან წასვლას ასე გამოეხმაურა:

– საჯაროდ ვაცხადებ – ვტოვებ ჯგუფს „ნიუ ვან“. ვტოვებ თიკა ბალანჩინს და ჯგუფ „ნიუ ვანს“!

ამ დღეებში განვითარებული მოვლენებისა და ჩემი შეხედულებების დაფიქსირების გამო ჩემმა ჯგუფის წევრებმა, „მეგობრებმა“, უბრალოდ წამშალეს, დამბლოკეს ფეისბუქ გვერდზე. სანამ წამშლიდნენ „მცდელობა“, რომ გაველანძღე, არ დაუკლიათ!

ვერ გაუძლეს ვაი „პროგრესული“ საზოგადოებრივი აზრის წნეხს, რადგან კომპლექსები რას არ ჩაგადენინებს კაცს!

1. მათი აზრით, მე ვარ ბნელი იმიტომ, რომ ქრისტიანი ვარ.

2. მათი აზრით, მე ვარ მოძალადე და აგრესიული იმიტომ, რომ მე ჩემი ქვეყნის ინტერესებს ვიცავ, ვეწინააღმდეგები „ძალით“ ისეთი იდეოლოგიის თავზე მოხვევას, რაც ამ ქვეყნის უმრავლესობას არ გვინდა.

3. მათი აზრით, ჩემისთანა კარგ მუსიკოსს არ შეიძლება, სხვა პოზიცია ჰქონდეს და ა.შ. ნაცნობი კლიშეები!

მადლობა ყველას, კარგი დღეები ბევრი გვაქვს გასახსენებელი, კარგი კონცერტები, კარგი სცენა, კარგ მუსიკას ვუკრავდით ერთად, ორგანულს, ნამდვილ ემოციას, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს როგორც „ცხოვრებაში“, ისე მუსიკაშიც, ცარიელ ადგილას „ჩვენ რომ პაუზას ვეძახით“.

ხშირად უკეთესი მუსიკა იკვრება და არაა საჭირო მისი შევსება! მე კიდევ ამევსო, ძალიან!

სადაც თქვენ „განვითარების“ ისეთ დონეს მიაღწიეთ, რომ თქვენი ჯგუფის წევრი „სიბნელეში“ დაგრჩათ, იგი თქვენთან ვეღარ გაჩერდება!

პ.ს. ასეთი ერთობა აღარ მინდა! დიდი მადლობა და წარმატებები ყველას თქვენი ცხოვრების გზაზე.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სპორტი

ისტორიაში პირველად – ინგლისი ევროპის ჩემპიონატის ფინალშია

ინგლისი-დანია 2:1 (დდ)

ლონდონი. უემბლი

0:1 დამსგორი (30), 1:1 კიაერი (39სკ), 2:1 კეინი (104)

ინგლისი: პიკფორდი, უოკერი, სტოუნსი, მაგუაირი, შოუ, ფილიპსი, რაისი (ჰენდერსონი 95), საკა (გრილიში 69, ტრიპიერი 106), მაუნტი (ფოდენი 95), სტერლინგი, კეინი

დანია: შმეიხელი, კრისტენსენი (ანდერსენი 79), კიაერი, ვესტერგაარდი (ვინდი 105), სტიგერ ლარსენი (ვასი 67), ჰოიბერგი, დილეინი (იენსენი 88), მეჰლე, ბრაიტვაიტი, დოლბერგი (ნორგორი 67), დამსგორი (პოულსენი 67)

ფეხბურთის ფუძემდებლების ისტორიული მომენტი – ინგლისის ნაკრები პირველად გავიდა ევროპის ჩემპიონატის ფინალში. თანაც, ამის გაკეთება მშობლიურ „უემბლიზე“ მოუწევს.

საინტერესო და დაძაბულ ბრძოლაში გარეთ საუთგეიტის შეგირდებმა დამატებით დროში 2:1 მოუგეს დანიას.

კარგი საყურებელი მატჩი გამოდგა – საგოლე მომენტებიც საკმარისი იყო, ინტრიგაც, სიჩქარეც. ანგარიში სკანდინავიელებმა გახსნეს და პიკფორდმა ამ ტურნირზე პირველი გოლი გაუშვა. ეს ყველაფერი დამსგორმა გააკეთა, რომელმაც შესანიშნავად შეასრულა საჯარიმო დარტყმა.

თითქოს სენსაციის სუნი დატრიალდა, მაგრამ სულ 9 წუთი გასტანა – ინგლისელთა მორიგი სწრაფი შეტევა ავტოგოლით დასრულდა. თუმცა, სიმონ კიაერს საკუთარ კარში რომ არ გაეტანა, ამას რაჰიმ სტერლინგი ისედაც მოახერხებდა და ჩემპიონატში მორიგ გოლს გაიტანდა.

ინგლისელებმა პირველივე ტაიმში გადაწყვიტეს, წინ გასულიყვნენ, მაგრამ კარგად მოთამაშე კასპერ შმეიხელს ვერაფერი მოუხერხეს.

საუთგეითის შეგირდები მე-2 ტაიმშიც უფრო აქტიურები იყვნენ, მაგრამ მოსაგებად 90 წუთი არ ეყოთ.

შმეიხელს შეეძლო, მატჩისა და სრულიად დანიის გმირი გამხდარიყო, როდესაც 103-ე წუთზე ჰარი კეინის პენალტი მოიგერია, მაგრამ თანაგუნდელებმა ვერ დააზღვიეს – ინგლისელთა კაპიტანმა დამატებაზე ყველას დაასწრო და დანიელთა მეკარეს გმირობა არ აცადა.

დანიელები შეეცადნენ მატჩის გადარჩენას, მაგრამ საამისოდ არც დრო ეყოთ და არც კლასი. დანი მაკელის სასტვენის შემდეგ „უემბლი“ საგიჟეთს დაემსგავსა – ინგლისს ნანატრ ევროპის ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯი აშორებს. ეს ნაბიჯი კი იტალიის ნაკრებია...

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი– კასპერ შმეიხელი

ძალიან კარგები იყვნენ კეინი და სტერლინგი, მაგრამ შმეიხელი გამოვარჩიეთ. დანიელთა მეკარემ ბევრჯერ იხსნა გუნდი, პენალტიც აიღო, მაგრამ ინგლისელთა წინააღმდეგ მარტო ვერაფერს გახდა.

სპორტი

ლაშა შავდათუაშვილი: „ოლიმპიადაზე კიდევ ერთი გამარჯვებისთვის ვიბრძოლებ!“

ტოკიოს ოლიმპიური თამაშები სტარტს 23 ივლისს აიღებს. ძიუდოს საერთაშორისო ორგანიზაციის ვებგვერდზე ოლიმპიურ ჩემპიონ ლაშა შავდათუაშვილთან საინტერესო ინტერვიუ გამოქვეყნდა. ინტერვიუმდე პატარა შესავალი, რომელსაც ძიუდოს საერთაშორისო ორგანიზაცია წერს:

– მას შემდეგ, რაც ლაშა შავდათუაშვილმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ბუდაპეშტში მოიპოვა. ქართველ ძიუდოისტს ყველა მნიშვნელოვანი საპრიზო ტიტული აქვს: ოლიმპიური, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი, ბრინჯაოს ოლიმპიური მედალი. მიუხედავად ამისა, მას მეტი სურს და უმაღლეს დონეზე ასპარეზობით არ დაღლილა. ლაშა ამ ზაფხულს ტოკიოში მედლის ერთ-ერთი ფავორიტი იქნება.

– როდის დაიწყეთ ძიუდო და რატომ?

– 11 წლის ვიყავი, როდესაც მშობლებმა ძიუდოში წამიყვანეს. იმ დროს ბევრი ენერგია მქონდა, როგორც ეს ჩვენს სოფელში ყველა პატარა ბიჭს. ძიუდო მაშინვე მომეწონა, რადგან ძალიან ჰგავს ჩვენს ტრადიციულ ქართულ ჭიდაობას. მახსოვს, რომ ჩვენს სოფელში შეჯიბრებები მცირეწლოვან ბავშვებს შორის გვქონდა. თუმცა, მხოლოდ გასართობად. საკმაოდ ძლიერი ვიყავი იმ ჭიდაობებში. სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს ჩემმა მშობლებმა, ძიუდოზე მივეყვანე. ეს დღე ძალიან კარგად მახსოვს: განსაკუთრებული იყო!

– ვინ იყო თქვენი მისაბაძი სპორტსმენი?

– როდესაც ძიუდო დავიწყე, ყველა წარმატებული ქართველი სპორტსმენი ჩემთვის მისაბაძი იყო და ვოცნებობდი იმ დღეზე, როდესაც ასევე ყველაზე მაღალ შედეგებსა და ტიტულებს მოვიპოვებდი.

– ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე კონტინენტური კვოტით მოხვდით და მოიგეთ. ოლიმპიადაზე შეიძლება, ეს მართლა მოხდეს?

– ლონდონის ოლიმპიური კვალიფიკაცია ჩელიაბინსკში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მოვიპოვე. ეს იყო უდიდესი მოტივაცია და დიდი შანსი ჩემს ცხოვრებაში, ასეთ პატარა ასაკში ჩემპიონი გავმხდარიყავი. ყოველთვის მჯეროდა, რომ სპორტში ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვებისთვის ბოლომდე ბრძოლა იყო.

– ლონდონის შემდეგ შეცვალეთ კატეგორია და ახლახან მოიგეთ მსოფლიო ტიტული ამ ახალ წონით კატეგორიებში. ვიცით, რომ ტრავმების გამო ძალიან რთული დრო გქონდა. რა იყო თქვენი მოტივაცია?

– დიახ, წონის კატეგორიის შეცვლა ჩემთვის ძალიან რთული იყო. ყველაფერი თავიდან დავიწყე, ჩემ წინ ახალი ცარიელი ფურცელი გადაიშალა. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ახლა მსოფლიოს ახალი ჩემპიონი ვარ და ძიუდოში ყველა მთავარი ტიტული მოპოვებული მაქვს. ყოველთვის მჯეროდა, რომ ეს დღე დადგებოდა და მძიმე ვარჯიში არასდროს შემიწყვეტია. ყოველთვის ვცდილობდი ჩემი ოცნებების განხორციელებას. გადავლახე ყველა სირთულე და მძიმე პერიოდი. ეს ყოველთვის არის დიდი სიამოვნება და ფანტასტიკური განცდა, როდესაც შეგიძლია, მაქსიმუმი აჩვენო და პოდიუმზე ჩემპიონად დადგე.

– მუშაობა და გამძლეობა – ეს არის ყოველდღიური დევიზი?

– უბრალოდ, მიყვარს ძიუდო. მან მომცა ყველაფერი, რაც ჩემს ცხოვრებაში მაქვს. ძიუდო ჩემთვის ყველაფერია. ის არის საუკეთესო მეგობარი, რომელმაც ძალიან ბევრი ბედნიერება და დასამახსოვრებელი მომენტები მაჩუქა. ასე რომ შემიძლია ვთქვა, რომ ძიუდოს ვალდებული ვარ, იმიტომ ბოლომდე ბევრს ვმუშაობ და ამას სიყვარულით და პატივისცემით ვაკეთებ.

– ძიუდოს გარდა, რისი გაკეთება გიყვარს?

– მიყვარს თავისუფალი დრო ჩემს ოჯახთან ერთად, შვილებთან და მეგობრებთან ერთად. ვთქვათ, რომ მომწონს აქტიური ცხოვრების წესი.

– ჩვენც ვიცით, რომ მამა ხართ. რამდენად მნიშვნელოვანია ძიუდოს ღირებულებების შვილებისთვის გადაცემა?

– ძიუდოს ღირებულებები ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ყველაფერს გავაკეთებ, რომ ვასწავლო, გავუზიარო ეს ღირებულებები და ტრადიციები ჩემს შვილებს, ასევე დახმარება გავუწიო ძიუდოს მოყვარულების. რა თქმა უნდა, ეს მათი პირადი არჩევანი იქნება, მაგრამ მოხარული ვიქნები, თუ ჩემი შვილები ამ ფანტასტიკურ სპორტს აირჩევენ.

– გაქვთ რაიმე რჩევა ახალგაზრდა სპორტსმენებისთვის, რომლებიც კარიერას ახლა იწყებენ?

– პირველ რიგში მათ უნდა უყვარდეთ ძიუდო და ყოველთვის უნდა მუშაობდნენ საკუთარი თავის გასაუმჯობესებლად, იმუშაონ ბოლომდე. მათ მთელი ცხოვრება ძიუდოს უნდა მიუძღვნან. ყოველთვის ენდობით საკუთარ თავს და დაისახონ მიზნები. ამის შემდეგ შეუძლებელი არაფერია.

– ახლა ტოკიოს ოლიმპიადის მოახლოებასთან ერთად, თქვენ იცით, რომ შეიძლება იყოთ ოლიმპიური ჩემპიონი ან მედალოსანი, როგორც ეს იყო რიოში 5 წლის წინ. გჯერათ, რომ ისევ შეგიძლიათ ამის გაკეთება?

– ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან კიდევ ერთი შანსი მაქვს, ოლიმპიადაში მონაწილეობა მივიღო. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეს შესაძლებლობა გამოვიყენო. ოლიმპიადაზე კიდევ ერთი გამარჯვებისთვის ბოლომდე და ვნებიანად ვიბრძოლებ!

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

დინამო ევროტურნირები მარცხით დაიწყო

დინამო-ნეფთჩი 1:2

თბილისი. დინამო არენა

0:1 ალესკეროვი (23), 1:1 მარუშიჩი (36), 1:2 მახმუდოვი (57 პ)

დინამო: კვასხვაძე, სპორკსლედე (ოსეი 83), ხვადაგიანი, პაპავა, ბენიო, ხარაბაძე (მორჩილაძე 73), რადინი, ქარდავა, კუცია (ქავთარაძე 68), მარუშიჩი, გაბედავა (ახვლედიანი 68)

ნეფთჩი: მამადოვი, ჩელიკი, მბოჯი, სტანკოვიჩი, ხარამიში, მახმუდოვი, კანე, ბუგრენი (აბასოვი 90), ლავალი (ბულუდოვი 86), კოლი (ნაჯაფოვი 88), ალესკეროვი

ქართული ფეხბურთის ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა, თბილისის დინამომ, ევროტურნირები მარცხით დაიწყო. ეს არ გაგვკვირვებია, რადგან გუნდის ბოლოდროინდელი პოლიტიკა მარცხისთვის არის განწირული.

დინამომ უხეში და უპატიებელი შეცდომების გამო წააგო. პლუს კლასი, რომელიც არ ეყოთ, თორემ რიგ ეპიზოდებში სჯობდნენ კიდეც მეტოქეს.

ნეფთჩი საშუალოზე დაბალი დონის გუნდია, რომელმაც დიდი ვერაფერი შემოგვთავაზა და მხოლოდ დინამოს შეცდომებზე იყო დამოკიდებული, რაც ჩინებულად გამოიყენა და საპასუხო მატჩის წინ უპირატესობაშია.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნეფთჩის ორივე გოლი ვაჩუქეთ: ერთ შემთხვევაში როინ კვასხვაძე შეცდა უპატიებლად, მეორე ტაიმში ჯერ ლევან ხარაბაძე და შემდეგ საიმონ ბენიო.

კვასხვაძე არასწორად გამოვიდა კარიდან, როდესაც ნეფთჩი კონტრშეტევაზე გადავიდა და ალესკეროვმა ძალიან მახვილი კუთხიდან, საიდანაც გოლი მოსალოდნელი სულაც არ იყო, თავზე გადაუგდო ბურთი.

შემდეგ იყო უაზროდ „აკიდებული“ პენალტი ძალიან მარტივ სიტუაციაში. არადა, ძალიან ბევრი შესაძლო ვარიანტიდან ხარაბაძემ ყველაზე ცუდი აირჩია. მართალია, კვასხვაძემ ის პენალტი მოიგერია, მაგრამ დინამო აქ უკვე ბენიომ დააღალატა, რომელიც პენალტის დარტყმამდე არასწორად შევიდა საჯარიმო მოედანში, რაც მსაჯმა დაინახა და აზერბაიჯანელებს ხელმეორედ დარტყმის უფლება მიცა. მეორე შანსი ნეფთჩიმ ხელიდან აღარ გაუშვა.

დინამოს უპირატესობა კი ჰქონდა, მაგრამ ფეხბურთი სულ 15 წუთი ითამაშა – პირველი გაშვებული გოლიდან გათანაბრებამდე, როდესაც ზორან მარუშიჩმა შორიდან დააქუხა. მანამდე ბაქოელთა მეკარემ რამდენჯერმე გადაარჩინა გუნდი.

დინამოს დააკლდა კლასი. პლუს, გუნდი ჩემპიონთა ლიგის წინ ვერ თუ არ გაძლიერდა. შედეგად, წლებია, დინამო აგებს იმ გუნდებთან, რომელთა ძლევაც პრობლემური არ უნდა ყოფილიყო...

ცუდი ფაქტი მოხდა მატჩის შემდეგ, როდესაც დინამოს ხელმძღვანელობასა და გულშემატკივართა ნაწილს შორის ურთიერთობა დაიძაბა. ქომაგთა ნაწილი დინამოს პრეზიდენტ რომან ფიფიას მმართველობას აქტიურად აპროტესტებდა, ამ დროს კი ყურს ცუდად ხვდება ის ტონი და ფრაზები, რომლებიც დინამოს მაღალჩინოსნებმა ქომაგების მიმართ გამოხატეს.

კახა ცხადაძე:

– ყოველთვის ძნელია თამაშის შემდეგ, როდესაც ემოციები ჭარბობს, ლოგიკური ანალიზი გააკეთო. თუმცა ფაქტია, რომ უპირატესობას ვფლობდით, საკმაოდ ბევრი მომენტიც გვქონდა, თუმცა შედეგი ის მივიღეთ, რომ წავაგეთ. კიდევ ერთხელ დაგვანახა ამ თამაშმა, რომ ასეთი უბრალო შეცდომების დაშვება არ შეიძლება. ძნელია, უსაყვედურო ფეხბურთელებს, რადგან ძალიან მოინდომეს. ჩვენმა სქემამ პირველ ნახევარში იმუშავა, მაგრამ მათმა მეკარემ ძალიან მაღალ დონეზე ჩაატარა შეხვედრა, ბევრი სეივი შეასრულა და მომენტები ვერ გამოვიყენეთ.

ტაიმებს შორის განსხვავება ის იყო, რომ მეორეში უკვე ვჩქარობდით და ეს იყო პრობლემა. მიუხედავად ამისა, ბევრი საგოლე მომენტი მაინც გაკეთდა. პერსონალურად არ გავაკეთებ აქცენტს, მაგრამ, როგორც პირველ ნახევარში, ისე მეორეში ზოგიერთი ფეხბურთელისგან უფრო მეტს ველოდით. ფეხბურთელების რაოდენობაში შეზღუდული ვართ, მაგრამ მაინც შევეცდებით, მიზანს იმ კონტინგენტით მივაღწიოთ, რაც გვყავს.

მართალია, დავმარცხდით, მაგრამ ახალი წესებიდან გამომდინარე, როდესაც აღარ აქვს მნიშვნელობა, შინ 0:1-ს წააგებ, თუ 1:2-ს, ბაქოში მოსაგებად უნდა ვითამაშოთ. თუ უფრო კარგად გამოვიყენებთ იმ მინუსებს, რომელიც მეტოქეს ჰქონდა, ვთვლი, რომ შანსი დაკარგული არ არის. კარგად უნდა დავისვენოთ, მოვემზადოთ და შევეცადოთ, არ გავიმეოროთ შეცდომები და გამოვიყენოთ მომენტები.

სამირ აბასოვი:

– როგორც ველოდით, ისეთი დაძაბული თამაში გამოდგა. ჯერ არაფერი გადაწყვეტილა, რადგან წინ საპასუხო მატჩია. ვიცოდით, რომ ჩვენს მეტოქეს მუდმივი სათამაშო პრაქტიკა ჰქონდა, ხოლო ჩვენ ამ თამაშამდე მხოლოდ 2 ამხანაგური თამაში გვქონდა ჩატარებული.

დინამოსთან აუცილებელი იყო ხასიათის სიმტკიცის წარმოჩენა, სიმშვიდის შენარჩუნება და ბოლომდე დახარჯვა. დავალება, რომელიც ბიჭებს მივეცით, შეასრულეს. მივიღეთ ის შედეგი, რისთვისაც ვიყავით ჩამოსული.

ჩვენი მეტოქე ძლიერი გუნდი იყო, საკმაოდ კარგად მომზადებული. ახლა კი ჩვენი მიზანია, რომ ბაქოში მომდევნო ეტაპის საგზური მოვიპოვოთ. ბაქოში ასე ვერ ვითამაშებთ. ეს გასვლითი მატჩი იყო, ბაქოში კი ტაქტიკა და მიდგომა უნდა შევცვალოთ. ბურთი უნდა გავაკონტროლოთ და უფრო შემტევები ვიყოთ. გოლის შემდეგ დავიბენით, ქაოსი იყო და სივრცეებს ვერ ვკეტავდით, მაგრამ შესვენების შემდეგ მდგომარეობა გამოვასწორეთ და დაცვაში უკეთ ვითამაშეთ.

დინამოს ფეხბურთელები სათითაოდ გვყავდა შესწავლილი და, როდესაც მოედანზე გავედით, ვიცოდით, მათ რა შეეძლოთ. თუმცა, როდესაც ცვლილებები გააკეთეს, პრობლემები შეგვექმნა, ჩვენ კი შეცვლების გაკეთების საშუალება არ გვქონდა, რადგან არ გვყავდა შესაბამისი ფეხბურთელები და გუნდი ამ პრობლემის აღმოფხვრაზე უნდა დაფიქრდეს.

შედეგები

7 ივლისი
ფეხბურთი
ევრო 2020

ინგლისი-დანია 2:2 (დდ)

უეფას ჩემპიონთა ლიგა

საჯვაღიფიკაციო ეტაპი

ბოდო გლიმტი-ლეგია	2:3
დინამო (თბ)-ნეფთჩი	1:2
სლოვანი-შემროკი	2:0
დინამო (ზ)-ვალური	3:2
ლუდოგორეცი-შახტიორი (ს)	1:0
მაქაბი (ჰ)-კაირატი	1:1
მალმიო-რიგა	1:0
ტეუტა-შერიფი	0:4
კონაჰი-ალაშკერტი	2:2

ჩოგბურთი
უიმბლდონი

ტაცები

ხაჩანოვი-შაპოვალოვი 4:6,6:3,7:5,1:6,4:6

ჯოკოვიჩი-ფუცოვიჩი 6:3,6:4,6:4

ფედერერი-ჭურკაჩი 3:6,6:7,0:6

ბერეტინი-ოჟე ალიასიმი 6:3,5:7,7:5,6:3

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

სამგლოვიარო განცხადებები

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ბელა მოსიას მეუღლის

ლაშა ჯალაღონიას

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ტოკიოში საქართველოს მედროშეები სალუქვაძე და ტალახაძე იქნებიან

ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს ნაკრების მედროშეები ლაშა ტალახაძე და ნინო სალუქვაძე იქნებიან. ამის შესახებ განცხადება საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა გააკეთა.

ტყვიით მსროლელი 52 წლის სალუქვაძე, რომელიც ქართული დელეგაციის მედროშე 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებზეც იყო, პლანეტის მთავარ მოვლენაზე მეცხრედ გამოვა. ამ მომენტისთვის აბსოლუტური რეკორდი 10 ოლიმპიადაა. ნინო პირველად ოლიმპიადაზე 1988 წელს სეულში გამოვიდა და საბჭოთა კავშირის სახელით ოქროსა და ბრინჯაოს მედლების მფლობელი გახდა. კიდევ ერთი ბრინჯაო კი 2008 წელს საქართველოს დროშის ქვეშ მოიპოვა.

ძალოსანი ტალახაძე კი ოლიმპიადაზე მხოლოდ მეორედ იასპარეზებს. პირველად 2016 წელს – რიოში, სადაც ოქროს მედალი ირგუნა.

შეგახსენებთ, რომ ტოკიოში 35 სპორტსმენი გვეყოლება: ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა), ავთანდილ კენჭაძე, ელიზბარ ოდიკაძე, გენო პეტრიაშვილი (ყველა თავისუფალი ჭიდაობა), რამაზ ზოიძე, ლაშა გობაძე, გიორგი მელია, იაკობ ქაჯაია (ყველა ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), სახილ ალახვერდოვი, ესკერხან მადიევი, გიორგი ხარაბაძე (ყველა კრივი), სანდრო ბაზაძე (ფარიკაობა), ლაშა ტალახაძე, ანტონ პლესნოი, შოთა მიშველიძე, გოგა ჩხეიძე (ყველა ძალოსნობა), გოგიტა არქანია (კარატე), მარიამ იმნაძე, ირაკლი რევიშვილი (ორივე ცურვა), ნიკოლოზ ბასილაშვილი (ჩოგბურთი), ტატიანა ლევიცკა-შუკვანი, ეთერ ლიპარტელიანი, ლუხუმ ჩხვიმიანი, ვაჟა მარგველაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი, ტატო გრიგალაშვილი, ლაშა ბექაური, ვარლამ ლიპარტელიანი, გურამ თუშიშვილი (ყველა ძიუდო), სალომე ფაჟავა (მხატვრული ტანვარჯიში), ლაშა ღულელაური, გიორგი მუჯარიძე, სოფიკო შათირიშვილი, ბაჩანა ხორავა, ბენიკ აბრამიანი (ყველა მძლეოსნობა).

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. პოპულარული ბალნეოლოგიური კურორტი საფრანგეთში; 2. ოპერა „ტრავიატას“ მუსიკის ავტორი; 3. ცისკრის ვარსკვლავის ძველი ქართული სახელწოდება; 5. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სამხრეთკორეული მეტალურგიული კონცერნი; 6. არქიტექტურული ნაგებობის სამკაული, ორნამენტი; 8. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 10. ტურისტთა კაპიუშონიანი ქურთუკი; 12. მოხსენების, სტატიის მოკლე შინაარსი; 14. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 15. უდაბნო აფრიკაში; 16. სპირტიანი სასმელი.

თარაზულად: 1. მდინარე პრაღაში; 4. მთიანეთი აშშ-ში; 7. გულუხვი მასპინძელი; 9. კოლუმბიის დედაქალაქი; 11. საავადმყოფოს სახელწოდება ძველად საქართველოში; 12. სამგლოვიარო ხასიათის მუსიკალური ნაწარმოები; 13. ისტორიული ციხე-სიმაგრე მცხეთის მახლობლად; 17. სუბტროპიკული ეთერზეთოვანი მცენარე; 18. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი საუდის არაბეთში; 19. მერყევი სხეულის უდიდესი გადახრა წონასწორობის მდგომარეობიდან; 20. ძალიან იშვიათი ნივთი, ექსპონატი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. თრიაქი; 2. მასკი; 3. მიოპია; 4. მეტეხი; 6. ესკადრა; 9. ცედრა; 11. დუაიენი; 15. იმუნიტეტი; 16. ჩაქურა; 17. მიკიტანი; 19. აჯამეთი; 21. ბარტერი; 22. თაბახი.

თარაზულად: 5. ტრადიცია; 7. სადროშო; 8. უტოპია; 10. მეოტიდა; 12. ხიხვი; 13. საუნა; 14. გარნიტური; 18. აჯიკა; 20. მარიცა; 23. ფაზისი; 24. რუხი; 25. ბერეტა; 26. ხოტი; 27. პროტონი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჯარა; 2. რიქშა; 3. შვეიკი; 5. პროზა; 6. გემრიელი; 8. ბანგლადეში; 10. ბრონქსი; 12. სისტოლა; 14. აფრიკა; 15. ქილიკი; 16. ელისო.

თარაზულად: 1. ჯუღური; 4. ეპილოგი; 7. მექისე; 9. კოზაკი; 11. ანანური; 12. საინგილო; 13. ანკესი; 17. თოფუზი; 18. გეთი; 19. ალტრუიზმი; 20. სინოპეკი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

9 ივლისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1370

ევრო — 3.7079

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3338

100 რუსული რუბლი — 4.2267

ამინდის პროგნოზი 9 ივლისისათვის

პიანიჩი ბარსელონას დატოვებს



ბარსელონის ბოსნიელი ნახევარმცველი მირალემ პიანიჩი, დიდი ალბათობით, ზაფხულში ბარსელონას დატოვებს, რადგან ის რონალდ კუმანის გეგმებში არ შედის. გავრცელდა ინფორმაცია, რომ პიანიჩი შესაძლოა იუვენტუსში დაბრუნდეს ანუ იქ, სადაც ის ბარსელონაში გადმოსვლამდე თამაშობდა. ასევე არსებობს შესაძლებლობა, რომ პიანიჩმა კარიერა ინგლისში გააგრძელოს.

არსენ ვენგერი: „დანიის ნაკრების კარში პენალტი არ უნდა დანიშნულიყო“

არსენალის ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა ინგლისისა და დანიის დაპირისპირებაზე ისაუბრა და თქვა, რომ მსაჯს დანიის ნაკრების კარში პენალტი არ უნდა დანიშნა. ვენგერის აზრით, საქმეში ვარი უნდა ჩარეულიყო და მსაჯისთვის ეთქვა, რომ გადაწყვეტილება შეეცვალა:

– არ მესმის, რატომ არ შეცვალა რეფერიმ გადაწყვეტილება და ამაში ვარიც არის დამნაშავე. ინგლისმა უკეთესად ითამაშა, მაგრამ მან უსამართლოდ დანიშნული პენალტით მოიგო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

შვილი მამას ეკითხება:

– მამიკო, დედიკოს თავი ასე ხშირად რატომ სტკივა?

– იმიტომ, რომ სახლში ნაკლები ფული მომაქვს...

– და რატომ მოგაქვს ნაკლები ფული?

– იმიტომ, შვილო, რომ ფულის ნაწილი იმ ქალებს ხმარდება, რომლებსაც თავი არ სტკივათ...

•••

ქმარი ცოლს ეუბნება:

– დღეს საღამოს ჩემი ბიძაშვილი გვესტუმრება ოჯახთან ერთად და ვერცხლის დანაჩანგლები გადამალე.

– ფიქრობ, მოგვპარავენ?

– არა, ვფიქრობ, იცნობენ!

•••

რაიონიდან ჩამოსული ცოლქმარი მოდების ჩვენებას ესწრება. პოდიუმზე გამოდიან ბიკინიში გამოწყობილი უმშვენიერესი მოდელები. ცოლი ქმარს ეუბნება:

– კაცო, რა პირი დაგიღია? მეტყველების უნარი საერთოდ დაკარგე? თხუთმეტი წელია დაქორწინებული ვართ, შენ რა, ქალის ფეხები და მკერდი არასდროს გინახავს?

– გაჩუმდი! ხელს ნუ მიშლი! ახლა სწორედ მაგ შეკითხვას ვუსვამ საკუთარ თავს.

ანდრია გველესიანი: „ვგმობ ყოველგვარ ძალადობას!“

ახმეტელის თეატრის მსახიობი ანდრია გველესიანი ყველანაირ ძალადობას გმობს:

– ვგმობ ყოველგვარ ძალადობას! მით უმეტეს ჟურნალისტებზე, რომლებიც ყველაზე ცხელ წერტილებშიც კი, ომს ვგულისხმობ, ხელშეუხებელნი არიან და უნდა იყვნენ!

აქვე ვგმობ ყველა ჟურნალისტს, რომელიც თავისი პროფესიის არასწორი გამოყენებით პროვოცირებას უწევს აგრესიას!

ვგმობ დორბლგადმოვარდნილ ბრბოს, რომელიც ცოფებს ყრის უბრალოდ იმიტომ, რომ ჰგონია, სისხლი უდღეს და ამ დროს ეგ სხვა რამეა.

ვგმობ ყველა შეუგნებელ ადამიანს, რომლებიც, პანდემიის მიუხედავად, პირბადეების გარეშე გადაზელილები არიან ერთმანეთში.

ვგმობ ყველა იმ ადამიანს, რომელსაც შეუძლია, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ

სხვა უმცირესობაა და თუნდაც მისი მანერულობა არ მოსწონს, დაამციროს და სიკვდილამდე ცემოს მეორე ადამიანი!

ვგმობ ტრ..ში ტანგაგაყრილ პარადის ჩატარებას, რომლის მთავარი მოტივაციაც უცხოეთიდან ჩარიცხული გრანტებია!

ვგმობ ყველა არაადამიანურ საქციელს, რომელიც მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ ადამიანობის გარდა, ყველაფერი პრიორიტეტულია!



მასტერი: „ვდგავარ და ვიდგები იქ, სადაც საქართველო დგას!“

მომღერალი მასტერი – გიორგი პავლიაშვილი აცხადებს, რომ ყოველთვის იდგება იქ, სადაც საქართველო დგას:

– როცა ვხედავ სხვა სექსუალური ორიენტაციის ადამიანს ქუჩაში, რაიმე წვეულებაზე, არასდროს მიჩნდება სურვილი, ასეთ ადამიანს რაიმე ფიზიკური ან მორალური ზიანი მივაყენო და ვფიქრობ, რომ ამ გადმოსახედიდან არ ვარ ჰომოფობი.

მაგრამ... აქ არის „ძლიერი მაგრამ“ და ეს მდგომარეობს იმაში, რომ როდესაც ისინი ეწევიან თავიანთი ორიენტაციის აფიშირებას, პროპაგანდას, იქცევიან „პახაბნურ-გამომწვევად“, ფეხით ადგებიან ბიბლიას და ხატებს ლიფში იწყობენ (არის ეს ვიდეოკადრები), უამრავ სიბინძურეს ამბობენ ჩვენს რელიგიაზე და მათ წარმომადგენლებზე, უნდათ, მომავალ თაობას ასწავლონ, რომ ეს არის ნორმა და ეუბნებიან, რომ მათ აქვთ არჩევანი – მე ამის წინააღმდეგ დავდგები და, თუ გინდა, ბნელი დამიძახე და თუ გინდა – ჰომოფობი!

ბავშვებს აქვთ დრეკადი ფსიქიკა, მე ჩემს შვილს არ ვასწავლი, რომ „შვილო, თუ გინდა, ბიჭი შეყვარებული გყავდეს, თუ გინდა გოგონა – ჩემთვის სულ ერთია, რომელიც გინდა, აირჩიე“, ჩემთვის ეს იგივეა, კოკაინი დაუყარო და უთხრა: „თუ გინდა, გასინჯე“.

გლობალიზაცია ისედაც ჭამს ამ სამყაროს, დიდი ხანია გადასულები არიან იმ დიდ პროექტზე, რაც კაცობრიობის პოპულაციის შემცირებას ეხება – მსგავსი გენდერების ქორწინება პირდაპირ კავშირშია ამასთან, რადგან ისინი არ მრავლდებიან.

ზოგადად ყოველთვის ვემიჯნები ნებისმიერ ძალადობას, ცემა-ტყეპასა და ტაბურეტკების სროლას, მაგრამ მორალურად არ ძალადობენ ჩვენზე, მათი „არასამთავრობოები“ და ტელემედია? მეტი რა პროპაგანდა უნდათ, ვერ ვხვდები! მთელი ტელევიზიები და წამყვანი შოუები მათ უთმობენ დროს და მაინცდამაინც შოთა რუსთაველის სახელობის გამზირზე გინდათ ჩავლა?

დაბოლოს: „შოუბიზნესელებო“, ძალიან ხომ არ შეიცვალეთ პოზიციები იმის შიშით, რომ ტელევიზიებში აღარ მიგიწვევენ? ნწ, ნწ, ნწ.

მე ვდგავარ და ვიდგები იქ, სადაც საქართველო დგას!

მამაკაცს არასდროს ერქმევა ცოლი!

პრინცმა ჰარიმ და პრინცმა უილიამმა პრინცესა დიანას ძეგლი გახსნეს

პრინცესა დიანას შვილებმა პრინცმა ჰარიმ და პრინცმა უილიამმა კენსინგტონის სასახლეში მისი პატივსაცემი ძეგლი გახსნეს.

ეს პრინცების პირველი შეხვედრა იყო მათი პაპის, ედინბურგის ჰერცოგის ფილიპის დასაფლავების შემდეგ, რომელიც მიმდინარე წლის აპრილში გაიმართა. მიუხედავად ძმებს შორის არსებული დაძაბულობისა, ცერემონიამ მშვიდად ჩაიარა.

ქანდაკების გახსნა სასექსის და კემბრიჯის ჰერცოგების დედის 60 წლის იუბილეს მიეძღვნა.

– ყოველდღე იმაზე ვოცნებობთ, რომ ის ჩვენ გვერდით იყოს, – განაცხადეს ძმებმა.

პრინცმა ჰარიმ და პრინცმა უილიამმა პრინცესა დიანას ქანდაკება 2017 წელს შეუკვეთეს და მისი შექმნის პროცესს მუდმივად თვალს ადევნებდნენ. მათ იმედი აქვთ, რომ ეს ქანდაკება დაეხმარება სასახლის დამთვალიერებლებს, ჩაუფიქრდნენ მათი დედის ცხოვრებას და დარჩენილ მემკვიდრეობას.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნიკა ჩერქეზიშვილი: „ყველა აქცია დაპირისპირების წყაროა“

ასე მიაჩნია პოეტ ნიკა ჩერქეზიშვილს:

– აქციებზე მხოლოდ იმიტომ აღარ მინდა გასვლა, რომ ჰყოფს და არ აერთიანებს ადამიანებს. ფაქტობრივად ყველა აქცია დაპირისპირების წყაროა, ერთმანეთისადმი ზიზღისა და ბოღმის ნთხევის გენერატორი.

აღარ გაირჩევიან ერთმანეთისგან. ერთი კონვეიერიდანაა გამოსული ყველა. ყელში ამოვიდა! საითაც ვიხედები, აბსოლუტურ უმრავლესობას მხოლოდ საკუთარი ცხვირი აქვს თვალთახედვის არეში, საკუთარი ვიწრო ინტერესი.

რომ უსმინო, სამშობლოს სიყვარული ამოძრავებთ, მაგრამ თითოეულ სიტყვასა თუ ქმედებაში იყიდებიან.

რა უნდა იყოს ამაზე იაფფასიანი? მე ვერ ვხედავ აქ ქვეყნის სიყვარულს. პირადი ცხოვრების მოწყობის სურვილსა და ათასნაირ ქვენა გრძნობას ვხედავ. ბუნებრივია, არსებობენ გამონაკლისები, ერთეულები, მაგრამ ეს ზღვაში წვეთიც არ არის.

ერთადერთ აქციაზე გამოვალ, რომელიც ამ ხელისუფლების საწინააღმდეგო იქნება! რომელიმე კონკრეტული ჯგუფის და ცალკეული ადამიანების საწინააღმდეგო კი არა, საწინააღმდეგო – სისტემის! სისტემის, რომელმაც დახლიჩა საქართველოს მოსახლეობა, დაყო და გათიშა ერთმანეთისგან, დააპირისპირა და ერთმანეთისადმი სიძულვილით გაავსო ადამიანები.

ეს არის რუსული სცენარი, რუსული პოლიტიკა, რომ საქართველო იყოს დაუძლურებული და დამონებული. ამაში მონაწილეობის მიღება არ მინდა!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

9 ივლისისათვის

ვერძი – იყავით გაბედული, თამამი. ხელოვნურ ურთიერთობებს ერიდეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კურო** – საიდუმლოს ნურავის გაუმხელთ. მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ. მშვიდი დღეა. **ტყუპები** – კოლექტიური საქმიანობისათვის შეუფერებელი პერიოდია. ყოველგვარი პრობლემა ინდივიდუალურად მოაგვარეთ. **კირჩხიბი** – შემოქმედებითი საქმიანობა გაამართლებს. შანსი გეძლევათ, თქვენი ნიჭი სრულყოფილად გამოიყენოთ. რჩევისათვის მეგობრებს მიმართეთ. **ლომი** – პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. მცდარი გადაწყვეტილება ფინანსურ დანაკარგებს გამოიწვევს. **ქალწული** – კონფლიქტური დღეა. ალკოჰოლის მიღება გეკრძალებათ. ქალაქგარეთ გასვლა, მივლინებები იღბლიანი იქნება. **სასწორი** – სხვისი ზეგავლენისაგან თავი დაიცავით. გადაწყვეტილებების მიღებისას მხოლოდ საკუთარ ინტუიციას დაეყრდენით. **ღრიანკალი** – გადით ქალაქგარეთ, დაკავდით სპორტით. საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. საღამოს ოჯახში სიტუაცია გეძაბებათ. **მშვილდოსანი** – ნუ გარისკავთ, თორემ ავანტიურაში ჩართვა არ აგცდებათ. თვითკონტროლი აუცილებელია. **თხის რქა** – სულიერი და მატერიალური აღმავლობის დღეა. რეალობის აღქმას ნუ დაკარგავთ. **მერწყული** – მოთმინება, თავშეკავება, სიყვარული და მიტევება დღის დევიზია. ბავშვების მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინეთ. **თევზები** – სასიცოცხლო ძალები სუსტდება. მძიმე წუთებში დახმარებისათვის მხოლოდ ძალიან ახლობელ ადამიანებს მიმართეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. უბანი თბილისში; 2. ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 3. რუმინეთის ფეხბურთელთა გუნდი; 4. „ფორმულა-1“-ში მონაწილე გერმანელი ავტომრბოლელი; 6. ბრიტანეთის ძველი სახელწოდება; 9. ისტორიული ქალაქი ჯავახეთში; 11. აეროპორტი ბუქარესტში; 15. ჯაშუშთა ქსელის ხელმძღვანელი უცხო ქვეყანაში; 16. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 17. ნათესავის, შთამომავლის ძველი ქართული სახელწოდება; 19. რაიმეს შესწავლა მისი ნაწილებად დაშლის გზით; 21. სახელმწიფოს დროებითი მმართველი მონარქიულ ქვეყანაში მეფის მცირეწლოვნების გამო; 22. ფულის ერთეული ისრაელში.

თარაზულად: 5. შეძენილი ჭკუასასტობა; 7. ჩაის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 8. მთიანეთი აფრიკაში; 10. უძველესი ქართული დამწერლობა; 12. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სადაზღვევო კომპანია; 13. გამარტივებული ნახაზი; 14. დანიელი მეზღაპრე; 18. ყოველდღიური გაზეთი ესპანეთში; 20. ღვინის ვაჭარი ძველად; 23. ვაჟა-ფშაველას პოემა „გველისმჭამელის“ პერსონაჟი; 24. ძვირფასი ქვა, რომელზეც ამოკვეთილია წარწერა ან ორნამენტი; 25. სამკურნალო საცხი; 26. აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი ნივთი; 27. საქონელზე, პროდუქტზე დაკრული სავაჭრო ნიშანი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა